გაზეთი ზიერიას, „ვერსიას" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№80 (975) 25 - 27 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სამართალი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები

გვ.7

ქრისტიან-დემოკრატები ნინო ბურჯანაძეს სასამართლოში უჩივიან

გვ.4

„ეს იყო პოლიტიკური ფარსი, რომელიც ყველამ ერთად გავითამაშეთ! მაშინ ბურჯანაძე ქმნიდა ილუზიას, რომ იყო მეორე ოპოზიციური ძალა საქართველოში, რომელიც ნაციონალებზე მეტ შედეგს დადებდა, შექმნიდა პოლიტიკურ კრიზისს, მოითხოვდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. ხელშეშლა პოლიტიკურ დანაშაულად ჩაგვეთვლებოდა..."

ვინ რამდენ მილიონად გაყიდა პარტია

წერილი ბაროს

გვ.8

„ციხეში ხომ არავინ გაჩმორებს? ამბობენ, „სკილეტას" (ვანოს) არ ევასება და ეიაზვებაო, არ მოუთმინო მაგას არაფერი..."

რაინდი ლევან ვასაძე – ორსახოვანი იანუსი

რატომ ატარებს აქციას „კაზანტიპის" წინააღმდეგ, რით დააავერბოვკა რუსულმა კაგებემ და რა კავშირი ჰქონდა ამერიკელ პროფესორ კენ უოლკერთან

გვ.3

თამარაშვილის ქუჩაზე ახალ პროექტს იწყებს

რა უპირატესობა აქვს „m^2 თამარაშვილზე" საცხოვრებელ კომპლექსს

გვ.6

„კაზლიატნიკი" და „საქათმე" ზონაზე

როგორ მოატყუა „ქათამმა" წარბამ კაი ბიჭები და როგორ გახდა მაყურებელი

პატიმრის დღიური

გვ.8

ყვითელი ავტობუსის მძღოლები გაფიცვით იმუქრებიან

ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდენტი მძღოლებზე თავდამსხმელების დასჯას ითხოვს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირი ფონიჭალაში, ყვითელი ავტობუსის მძღოლის სიკვდილში დამნაშავე პირის უმკაცრესად დასჯას მოითხოვს. პროფკავშირის პრეზიდენტმა ლავრენტი ალანიამ, ავტობუსის მძღოლებსა და კონტროლიორებთან ერთად განცხადება გაავრცელა. მისი თქმით, პირველი შემთხვევა არაა, როცა მძღოლებზე ძალადობენ და დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ. ალანია აპირებს, გამოაქვეყნოს მძღოლებზე თავდასხმისა და ძალადობის სტატისტიკა. 22 ივლისს, ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ინიციატივით, თბილისში, რუსთავში, გარდაბანში, გორში, ქუთაისსა და ფოთში, ყვითელი ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები, ასევე სასწრაფო სამაშველო სამსახურისა და კერძო ტრანსპორტის მძღოლები 1 წუთით შეჩერდნენ და საყვირი მისცეს. საქალაქო ტრანსპორტზე კი შავი ლენტები გაკეთდა.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდენტი **ლავრენტი ალანია** აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, **„ვითომპოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, ტელეეთერით მოუწოდებდნენ მოქალაქეებს, ტრანსპორტში ფული არ გადაეხადათ, ეცემათ მძღოლები და კონტროლიორები. ასეთი დამოკიდებულების გამო, სატრანსპორტო მუშაკებზე ზეწოლის 80-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, რასაც ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია, არავინ დაისაჯა, რის გამოც მგზავრები მძღოლებზე ზეწოლას თამამად აგრძელებენ. ამ დღეებში მსგავსი ფაქტი, იმავე ადგილას მოხდა, სადაც უდანაშაულო მძღოლი მოკლეს. დამნაშავე პოლიციამ დაიკავა და სასამართლომ გამოუშვა. დღეს მძღოლი თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს, ამიტომ არ გამოვრიცხავ, უახლოეს დღეებში სამუშაო შესრულებაზე საერთოდ უარი თქვან“.**

ალანიას თქმით, ვითარებიდან გამოსავალი კანონის გამკაცრებაა. კანონში უნდა ჩაიწეროს — ვინც მძღოლს შეაწუხებს, დაისჯება. დამნაშავის დადგენის გამარტივების მიზნით, ავტობუსებში ვიდეოკამერები უნდა დამონტაჟდეს.

ახალ ავტობუსებში მძღოლის კაბინა იზოლირებული უნდა იყოს, ბოლო გაჩერებაზე კი პატრული მორიგეობდეს, განსაკუთრებით 7 საათის შემდეგ.

მთავრობის ახალ შემადგენლობას პარლამენტი 26 ივლისს დაამტკიცებს

გიორგი მარგველაშვილის მიერ საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი მთავრობის შემადგენლობა ასეთია: საქართველოს პრემიერ-მინისტრი — ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — თამარ სანიკიძე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — ელგუჯა ხოკრიშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი — გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი — კახა კალაძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი — ირაკლი ალასანია, საქართველოს იუსტიციის მინისტრი — თეა წულუკიანი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი — მიხეილ გიორგაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი — სოზარ სუბარი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი — დავით შავლიაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი — მაია ფანჯიკიძე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი — გიორგი მღებრიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი — ოთარ დანელია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი — ლევან ყიფიანი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი — ნოდარ ხადური, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — ალექსანდრე ჭიკაიძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — დავით სერგეენკო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში — ალექსი პეტრიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში — პაატა ზაქარეიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში — გელა დუმბაძე.

მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას პარლამენტი შაბათს, 26 ივლისს გეგმავს.

„პირველი“

ვერსიანიუსი

პატრიარქი სამშობლოში დაბრუნდა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, უწმინდესი ჩარტერული რეისით თანმხლებ პირებთან ერთად ჩამოვიდა.

მას აეროპორტში მრევლი და სასულიერო პირები დახვდნენ. პატრიარქის ესკორტი აეროპორტის შესასვლელთან რამდენიმე წამით გაჩერდა და ილია მეორემ მრევლი დალოცა. მან აეროპორტის ტერიტორია კომენტარის გარეშე დატოვა. კათალიკოს-პატრიარქი აეროპორტიდან სამების საკათედრო ტაძრისკენ გაემართა, სადაც ტაძარი მოილოცა. **„ძალიან მომენატრა საქართველო და ძალიან მომენატრეთ თქვენ. მე ვგრძნობდი თქვენს ლოცვებს, ღმერთმა დაგლოცოთ“,** — მიმართა უწმინდესმა სამების ტაძარში შეკრებილ მრევლს. ტაძრის მოლოცვის შემდეგ კათალიკოს-პატრიარქი საპატრიარქოში გაემგზავრა.

ექიმ ცისანა შარტავას განმარტებით, ილია მეორეს გერმანიაში კარდიოლოგიური კუთხით გეგმურ-პროფილაქტიკური გამოკვლევა და მკურნალობის 18-დღიანი კურსი ჩაუტარდა. უწმინდესი ბერლინთან ახლოს ბრანდერბურგის ჰოპერგარტენის ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობდა. პატრიარქი თავს კარგად გრძნობს, მისთვის ეს ვიზიტი გერმანიაში სამკურნალო და სარეაბილიტაციო კურსის გარდა, ერთგვარი დასვენებაც იყო. გამგზავრება თებერვალში იგეგმებოდა, თუმცა, უწმინდესის დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ მოხერხდა. პატრიარქი გერმანიაში 2 ივლისს გაემგზავრა. სამი კვირის განმავლობაში უწმინდესი ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობდა.

„ინტერპრესნიუსი“

სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის, ასპინძისა და ნინოწმინდის რაიონულ სამმართველოებში მოქალაქეებმა წარმოადგინეს და ნებაყოფლობით ჩააბარეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 3428 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 62 ხელყუმბარა, 11 ცალი გადაჭრილი თოფი, 3 პისტოლეტი, 1 შაშხანა და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

სულ ჩაბარებულია: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 3428 საბრძოლო ვაზნა, „ეფ-1“-ის ტიპის 35 ცალი, „ერ-გე-დეს“ ტიპის 4 ცალი და „ერ-გეს“ ტიპის 23 ცალი ხელყუმბარა, „ერ-კა-გე 3 ემს“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო 5 ყუმბარა, 11 ცალი გადაჭრილი თოფი, „ტოზ-8-01“-ის ტიპის 1 შაშხანა, „უ-ზე-ერ-გე-ემ“-ის ტიპის 43 ცალი ამფეთქი ფალია, 3 პისტოლეტი, „ბე-ემ15“-ის ტიპის 1 გასროლა, სანადირო თოფის 10 მასრა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 3 მჭიდი, 3 ცალი საკვამლე კოჭა, 10 ცალი ცილინდრული ფორმის საგანი და „ტე-ემ 62“-ის ტიპის 1 ცალი სასნავლო-ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ოჯახური ძალადობის სტატისტიკა

2007-2014 წლების (იანვარი-ივნისი) პერიოდში სულ დაფიქსირდა ძალადობის 1102 ფაქტი, მათში მონაწილე 2223 პირით.

მოძალადეებს შორის ჭარბობს მამაკაცები — 1014, ხოლო ქალების რაოდენობა 82-ია. აღნიშნულ პერიოდში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 1010 ქალი და 117 მამაკაცი.

ოჯახური ძალადობის სახეებიდან საქართველოში ჭარბობს ფიზიკური (36%) და ფსიქოლოგიური ძალადობა (55%), ხოლო დანარჩენ ოჯახურ ძალადობებზე მთლიანად მოდის — 9%.

2013-2014 წწ. (6 თვეში) ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით დევნა დაიწყო სსკ 11 პრიმა და 126 პრიმა მუხლებით 310 პირის მიმართ, აქედან 289 მამაკაცი და 21 ქალია.

დაზარალებულად ცნობილია 468 პირი, აქედან მამაკაცი 96, ქალი — 372.

„ვერსიაპლიუსი“

რაინდი ლევან ვასაძე – ორსახოვანი იანუსი



ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

26 ივლისს თბილისში საპროტესტო აქცია გაიმართება. ამჯერად, ბიზნესმენ ლევან ვასაძის ორგანიზებით — ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი რაინდი, თანამოაზრეებთან ერთად, კაზანტიპის წინააღმდეგ გაილაშქრებს, დაგმობს „გარყვნილების ბუდეს“ და კბილებით დაიცავს ქართულ ტრადიციებს. აქცია მთავრობის კანცელარიასთან მოეწყობა და მას შაბათის ლოცვის შემდეგ, სასულიერო პირები, ასევე სხვადასხვა ეკლესიის მრევლიც შეუერთდება. მოგვიანებით, აქციის ორგანიზატორები მთავრობაში პეტიციას აფრენენ, რომლის საშუალებითაც, როგორც თავად აცხადებენ, თავის პოზიციას გამოხატავენ. პეტიციის მთავარი არსი ის იქნება, რომ ქართული საზოგადოება ეწინააღმდეგება საქართველოში კაზანტიპის ჩატარებას, რადგან ფესტივალი გარყვნილების პროპაგანდაა. აქციის ორგანიზატორების აზრით, იმას, რომ კაზანტიპი გარყვნილების ბუდეა, მისი ფორმისა და შინაარსის გარდა, ღონისძიების Facebook-გვერდზე გამოქვეყნებული კაზანტიპის „რესპუბლიკის“ მთავარი კანონიც ამტკიცებს — „იყავი ბედნიერი და ისიამოვნე“.

ლევან ვასაძეს მიაჩნია, რომ კაზანტიპის მონაწილეები სიამოვნებას მიიღებენ და გაბედნიერდებიან მხოლოდ გარყვნილებით. თავად ღონისძიების ორგანიზატორების მტკიცებით კი, კაზანტიპი ყოველწლიური ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ფესტივალია, რომელიც 1992 წლიდან 2013 წლის ჩათვლით უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე იმართებოდა. რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ კი მისი საქართველოში ჩატარება გადაწყდა.

რუსეთის ხსენებაზე, ერთი კარგი რუსული გამოთქმა გამახსენდა — „კაჟდი პონიმაეტ პო მერე სვოეი ისპორჩენისტი“. რუსეთში ნაცხოვრებ და რუსულ სპეცსამსახურებთან სიახლოვეს მყოფ ვასაძეს, ამ ფრაზის წაკითხვა-გააზრება არ გაუჭირდება. სამაგიეროდ, რიგით მოკვდავებს შეიძლება გაუჭირდეთ იმის გაგება, ვასაძემ კაზანტიპში გულწრფელად ამოიკითხა ქართველი ერის გარყვნის საფრთხე, თავისი გაფუჭებულობის ხარისხით აღიქვა ფესტივალი გარყვნილების ბუდედ თუ ღონისძიების წინააღმდეგ დაგეგმილი საპროტესტო აქციაც მისი სამომავლო პოლიტიკური კარიერისთვის წინგადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია?

არსებობის უფლება სამივე ვერსიას აქვს, თუმცა ვასაძის ბეგრაუნდის გახსენების შემდეგ, მეორე და მესამე ვარიანტი უფრო დამაჯერებლად მოგეჩვენებათ. ბეგრაუნდში ამჯერად ვასაძის ვნებები იგულისხმება — პოლიტიკურ კულუარებში უკვე ალაპარაკდნენ, რომ რაინდმა, ყმაწვილკაცობაში, საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესი დაკარგა და ლტოლვა ბიჭების მიმართ გაუჩნდა. ეს გარდასახვა ჯერ კიდევ 90-იან წლებში იგრძნო მაშინ, როცა საქართველოში იარაღით დარბოდნენ და ვასაძისთვის ტყვიის დახლას, სექსუალური გამოხედვის გამოც კი არავინ მოერიდებოდა. როგორც ამბობენ, მაშინ მომავალმა რაინდმაც, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, პრინციპით იხელმძღვანელა და სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შორეულ ამერიკას მიაშურა.

თავისუფლების მოყვარულ ამერიკელებს შორის, ვასაძემ თურმე თავი ისე იგრძნო, როგორც თევზმა წყალში. ან ვასაძე ვინ იყო შტატებში, ან მისი ვნებები, ვინმეს შეემჩნია და გაკვირვებოდა. იქ ურთიერთობები მალე აეწყო და როგორც ამბობენ, მომავალმა რაინდმა ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე ბოიფრენდიც გამოიცვალა. პირველი თურმე ნიუ იორკის ერთ-ერთი იურიდიული კომპანიის იურისტი იყო, მომდევნოთაგან ერთ-ერთი კი — ცნობილი ამერიკელი, მედიცინის პროფესორი, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო დოქტორი კენ უოკერი (kenneth Walke) გახლდათ, რომელიც აღნიშნულ უნივერსიტეტში 1971 წლიდან მოღვაწეობს. პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ ვასაძე-უოლკერს დღემდე აქვთ ურთიერთობა, თუმცა არაა გამორიცხული ასე არც იყოს. ამის მიზეზი კი, უკვე მისი მოსკოვური მოღვაწეობაა — ამბობენ, ამერიკის შემდეგ, ცხოვრების წესის გამო, ვასაძეს სამშობლოში დაბრუნება არც უფიქრია და ამიტომაც მიაშურა დიდ რუსეთსო. იქ კი, ვლადისლავ სურკოვი გაიცნო, რომლის მეშვეობითაც, რუსულმა კაგებემ, ვასაძე დაავერბოვკა, კარგად აპრობირებული მეთოდით — „პოლიტიკური ვასასების“ თქმით, სურკოვმა ვასაძის დაშანტაჟება, სწორედ პირადი ცხოვრებითა და სექსუალური ორიენტაციით შეძლო. ასე იქცა სურკოვი ვასაძის ლობად. მან მომავალ რაინდს „ქართული პროექტის“ კონკურსშიც რამდენჯერმე მიაღებინა მონაწილეობა: პირველად, 2002-03 წლებში, როცა შევარდნაძეს პრეზიდენტობის ვადა ეწურებოდა და მის მემკვიდრედ, მოსკოვი თავის კანდიდატს არჩევდა. მაგრამ მაშინ რუსული გეგმა ჩაიშალა და საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა. პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ მეორე მცდელობა სურკოვს სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში ჰქონდა. ყველანაირად ცდილობდა, კრემლს ფსონი ვასაძეზე დაედო და არა სხვა რომელიმე კანდიდატზე, მაგალითად ბურჯანაძეზე, რომელსაც ასევე ჰყავდა კრემლში ლობი. ამბობენ, სწორედ ამ დროს, ვასაძის კიდევ ერთი გარდასახვა მოხდა — რუსეთის სპეცსამსახურებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ საქართველოში მხოლოდ სარწმუნოებისა და ტრადიციებისთვის მებრძოლი გმირის სახე გახდებოდა პოპულარული და ვასაძემაც ღვთისმოშიში, ტრადიციებისთვის თავდადებული კდემამოსილის მანტია მოისხა, უფრო სწორად — ჩოხა. ამბობენ, რომ პოლიტიკური კულუარებიდან მაშინ ინფორმაციამ გაჟონა და ვასაძის წინააღმდეგ თბილისში კომპრომატების შეგროვება დაიწყო. ამბობენ იმასაც, რომ რაინდის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებიც არსებობს, სადაც ვასაძე თავის პარტნიორ მამაკაცებს ეალერსება. ეს კადრები, თავის დროზე, თურმე სააკაშვილსაც ჩაუვარდა ხელში, ოღონდ ამერიკელების დახმარებით.

კრემლში ფარ-ხმალი არც ამჯერად დაყარეს და ლევან ვასაძის ირგლივ რუსეთთან დაახლოებული ქართველი სასულიერო პირების ნაწილი შეკრიბეს. ისიც ითქვა, რომ სწორედ ისინი გაუსუფთავებდნენ ვასაძეს პოლიტიკური კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას. „ვერსიაც“ წერდა, რომ ვასაძე პოლიტიკაში ეკლესიის დახმარებით გეგმავდა მოსვლას, მაგრამ თავად ვასაძემ განაცხადა, ასეთი გეგმები არ მაქვსო. სხვას რას იტყოდა იმ ფონზე, როცა სააკაშვილის მემკვიდრეც უკვე არჩეული იყო და რაინდს იმის გააზრებაც მოსწრებული ჰქონდა, რომ მისი გალიდერების გეგმა კიდევ ერთხელ ჩავარდა. ამ ფონზე, სავარაუდოდ, ვასაძე „თავის დროს“ ელოდება. არც სააკაშვილის ხელში არსებული კომპრომატები უნდა დავიწყოთ — გამორიცხული არაა, ვასაძეს სააკაშვილის შურისძიების შეეშინდა და დროებით განზე გადგომა გადაწყვიტა. ან პირიქით, შესაძლოა, სააკაშვილიც აშანტჟებს და ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებს — მისი საშუალებით კი, ქართულ პოლიტიკაში ფენიქსივით ფერფლისგან აღდგომას გეგმავს. ორივე ვარიანტში გასაგებია, დროებით „განზე გადგომა“ ვასაძის ენაზე პასიურობას და მშვიდად ცხოვრებას რატომ არ ნიშნავს. პირიქით, რაინდი აქტიურობს და ყველა იმ თემას იყენებს, რომელიც პოლიტიკური კარიერის შექმნაში დაეხმარება. ასე იყო ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით, როცა ამტკიცა, ეს კანონი ჰომოსექსუალების ქორწინების დაკანონების საფუძველი გახდებაო და სავარაუდოდ, ასეა ახლაც, კაზანტიპთან დაკავშირებით. რამდენი ადამიანი იზიარებს მის მოსაზრებას, 26 ივლისს გამოჩნდება. ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით კი მან დიდი მხარდაჭერა რომ ვერ მოიპოვა, უკვე ვნახეთ, მათ შორის, ვერც პატრიარქისგან. პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ არაა გამორიცხული, ამის მიზეზი უწმინდესისა და პრემიერ ღარიბაშვილის რამდენიმე შეხვედრაც იყოს, სადაც მათ, სავარაუდოდ, რაინდის ბეგრაუნდზე, ლობსა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს.

ამ ყველაფერზე საზოგადოებაც უკვე საუბრობს. სხვაგვარად, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ვასაძის პროტოტიპი ბარათეონი არ გამოჩნდებოდა და ერთ-ერთ სერიაში ქათმებს არ შეუყრიდნენ ოთახში. ლევან ვასაძემ იცის, მირიან ბარათეონი მას განასახიერებს. ერთხელ ამაზე კომენტარიც გააკეთა და ამ ფონზე, ალბათ იმასაც მიხვდება, ადვილი ამოსაცნობია, ჩოხაში გამოწყობილი ორსახოვანი იანუსის ყველა ქმედების მიღმა, სავარაუდოდ, ქულების ჩაწერა, პოლიტიკური კარიერის შექმნის სურვილი (თუ დავალება) და კრემლის გეგმების განხორციელებისთვის ბრძოლა რომ იმალება.



შავი ზღვის VIII ჯაზ-ფესტივალი დაიწყო

ღონისძიების წარმომდგენია კულტურის სამინისტრო და თიბისი ბანკის პერსონალური საბანკო მომსახურება TBC STATUS. შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე მასშტაბური ჯაზ-ფესტივალი 24-27 ივლისს, ბათუმში გაიმართება და მასში მონაწილეობას ტრადიციულად, მსოფლიოს ცნობილი უცხოელი ჯაზ-შემსრულებლები მიიღებენ. კონცერტები ჩატარდება 4 დღის განმავლობაში, ყოველ საღამოს, ჩოგბურთის კორტებზე. ფესტივალის ეგიდით, ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ფასიანი კონცერტების გარდა, ბენდი MEN IN BRASS 15 უფასო შოუს გამართავს, სადაც ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს საშუალება ექნებათ, ცოცხალ მუსიკას უფასოდ მოუსმინონ.

ჯაზ-ფესტივალზე მოწვეული მუსიკოსები, შემადგენლობა შემდეგია: KOOL AND THE GANG (USA), LIV WARFIELD feat. The NPG Hornz (USA), BOOTSY COLLINS & The Funk Unity Band (USA), MARIO BIONDI (IT), RAMON (AT), MEN IN BRASS (GER), Parov Stelar presents MAX THE SAX (AT).

2008 წლიდან ბათუმის ჯაზ-ფესტივალი ევროპის ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური ფესტივალების კატალოგშია. ფესტივალის მასპინძელია „შერატონ ბათუმი“ და ტურისტული კომპანია „კალიფსო“. ორგანიზატორი კი — კომპანია Eastern Promotions.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფასო სახელმძღვანელოების პროგრამას განაგრძობს

განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის განმარტებით, წიგნების გაცემით მშობლების დანახარჯი ზოგად განათლებაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ახალი სახელმძღვანელოები, რომელიც სამინისტროს დაკვეთით იბეჭდება, გაცილებით მსუბუქია, რაც მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია: **„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს უფასო სახელმძღვანელოების პროგრამას იმიტომ, რომ პროგრამამ ნამდვილად მიაღწია იმ პირველად დანიშნულებას, რომელიც იყო ოჯახის დანახარჯის შემცირება ზოგად განათლებაზე. ზოგადი განათლების წლიური დანახარჯი, მხოლოდ წიგნების პროგრამით 40%-ით შევამცირეთ. ეს პროგრამა წარმატებულია. სიახლე გვაქვს პირველკლასელთა სახელმძღვანელოებში, ისინი იბეჭდება თანამედროვე საბეჭდით, სპეციალიზებულ ქაღალდზე, რომელიც გაცილებით მსუბუქია, წელს ეს იქნება ჩვენთვის საპილოტე პროგრამა და თუ დადგინდა გამძლეობა, ამ სტანდარტს აუცილებლად გავითვალისწინებთ წიგნის ახალ სტანდარტში, რომელზედაც ვმუშაობთ. ჩვენი სახელმძღვანელოების ნაწილს ბეჭდავს გაერთიანებული ქართული სტამბა“.**

სანიკიძის თქმით, ახალი სასწავლო წლისთვის წიგნების მთლიანი რაოდენობის 65%-ის დაბეჭდვაა საჭირო, რადგან სახელმძღვანელოების ნაწილი დაზიანდა.

თუკი მოსწავლეს წიგნი დაუზიანდება, ჯარიმას არ იხდის, უბრალოდ მსგავსი წიგნის გამოყენება აღარ მოხდება: **„წიგნების 65% დაიბეჭდება, რადგანაც წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც ხორციელდებოდა სპეციალურად შექმნილი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, დადასტურდა, რომ დაგვჭირდებოდა ახალი წლისთვის მთელი რაოდენობის 65%-ის დაბეჭდვა. ასევე, მინდა განვმარტო, რომ გამოყენებული წიგნი, ახალი დარჩება ქსელში, დაზიანებული კი გავა ქსელიდან. მშობელს არ უწევს სკოლაში არანაირი საფასურის გადახდა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.**

შარშან აღნიშნული პროგრამისთვის სულ 18 მილიონი ლარი დაიხარჯა, წელს კი მინისტრი ამ დანახარჯის 12-13 მილიონამდე შემცირებას ვარაუდობს.

„პირველი“

ქრისტიან-დემოკრატები ნინო ბურჯანაძეს სასამართლოში უჩივიან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პავლე კიკალიშვილი, გია ჩალიჩავა, მიხეილ ლეჟავა, თამაზ დოხაძე, ლიკა მჟავანაძე, ლაშა ბერაია, კახა სარია, ავთანდილ ტუნაძე, შოთა ჩიხრაძე, რომანოზ გირლიანი, მამუკა მგელიაშვილი, ჯემალ მასხარაშვილი, ლია ჩოგური, მადონა ქურხული — ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ცნობილ პოლიტიკოს გოჩა ჯოჯუასთან ერთად, პარტია ქრისტიან-დემოკრატების (ქდმ) დაბრუნებას აპირებენ. მეტიც, როგორც „ვერსიას“ თავად ჯოჯუამ განუცხადა, მზადდება კოლექტიური სარჩელი ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ და ე.წ. ძველ ქდმ-ელებს გაყიდული პარტიის დაბრუნება სურთ. მართალია, ახლა უკვე გვიანია და კაცმა არ იცის, სინამდვილეში ვინ რამდენი აიღო და ვინ განაწყენებულის პოზიციიდან საუბრობს, მაგრამ ფაქტი ერთია — ორად გახლეჩილი ქდმ დეტალებს სასამართლოში გაარკვევს და ბოლოს და ბოლოს, ჩვენც გავიგებთ, ვის დარჩება პარტია, ბურჯანაძე-ვეფხვაძეს თუ ჯოჯუასა და „გადაგდებულებს“. „ვერსიას“ გოჩა ჯოჯუა საკუთარი ინიციატივით დაუკავშირდა და ის საბუთებიც მოგვიტანა, რომლის მიხედვით, 6 ივნისს შემდგარი გაერთიანების არალეგიტიმურობის დამტკიცებას აპირებს.

ვინ რამდენ მიღიონად გაყიდა პარტია



— წინასაარჩევნოდ, ყველამ ვიფიქრეთ, რომ ქდმ-მ და ბურჯანაძემ საარჩევნო ბლოკი გააკეთეს. რა მოხდა სინამდვილეში და როგორ გახდა ბურჯანაძე თქვენი პარტიის თავმჯდომარე?

— თავის დროზე, ბურჯანაძემ მოლაპარაკებები მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატებთან (ქდმ) კი არა, მთელ ოპოზიციურ ძალებთან დაიწყო. მოლაპარაკების მიზანი ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა იყო, რომლის ერთ-ერთი ლიდერი თავად ბურჯანაძე უნდა ყოფილიყო. გაერთიანება არ შედგა და ბოლოს დარჩნენ ჯონდი ბაღათურია, უბრალოდ, მხარდამჭერის როლში და დიმა ლორთქიფანიძე, რომელმაც კენჭი სწორედ ქდმ-დან იყარა. სინამდვილეში, ეს იყო პოლიტიკური ფარსი, რომელიც ყველამ ერთად გავითამაშეთ! მაშინ ბურჯანაძე ქმნიდა ილუზიას, რომ იყო მეორე ოპოზიციური ძალა საქართველოში, რომელიც ნაციონალებზე მეტ შედეგს დადებდა, შექმნიდა პოლიტიკურ კრიზისს, მოითხოვდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. ამის ხელშეშლა კი პოლიტიკურ დანაშაულად ჩაგვეთვლებოდა. ხელი რომ შეგვეშალა და პროცესი ჩაგვეშალა, ქართველი მოსახლეობა ვერ გაიგებდა. ბურჯანაძეს არც თავისი პარტია დაუშლია და ყრილობაც დარღვევით ჩატარდა. არ უნდოდა, ამოტივტივებულიყო, რომ იგი ქდმ-ს თავმჯდომარეობას აპირებდა. მეც და პარტაქტივის დიდი ნაწილიც ერთიან ოპოზიციურ ბლოკზე თანახმა ვიყავით, თუმცა ამ შერწყმაზე არა.

— რა დარღვევებზე საუბრობთ?

— როცა უკანონობასა და უსამართლობას ერთად სჩადი, ყველანაირ ზღვარს ცდები. ბურჯანაძეს მორალური სახე მაინც უნდა შეენარჩუნებინა ქდმ-ს იმ წევრების მიმართ, ვინც არათუ „გადააგდო“, არამედ საერთოდ გონზე არ იყვნენ, რა ხდებოდა.

— სულ ბურჯანაძეზე რატომ საუბრობთ, პრეტენზიები თქვენი პარტიის ლიდერების მიმართ რატომ არ გაქვთ?

— გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან წავიდა და მას პარტიულ საქმიანობაში ჩარევის უფლება აღარ ჰქონდა. პასუხისმგებლობა იმ პირებს ეკისრებოდა, ვინც პარტიაში დარჩა, თუმცა მათაც არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლება, პარტიის ყრილობის ჩატარებამდე. მათთან ურთიერთობა მას მერე დავამთავრე, რაც გაერთიანება არ შედგა და ვთქვი, ვიდრე ყრილობა არ ჩატარდება, მონაწილეობას არაფერში მივიღებ-მეთქი. როცა ყრილობის გარეშე პარტია ბლოკში მიდის, ეს უკვე საკუთარი წევრებისა და წესების იგნორირებაა.

— პარტიის ყრილობა ხომ ჩატარდა 6 ივნისს?

— 6 ივნისიც ფარსი იყო. ყრილობა ჩატარდა ორთაჭალის რომელიღაც რესტორანში, ქელეხის დარბაზში. მოვიდა ბურჯანაძე, ქრისტიან-დემოკრატებს ქელეხი გადაუხადა, „სულთა თანა“ უმღერა და დაამთავრა. საქმე ისაა, რომ ვინც ამ ყრილობას ესწრებოდა, დელეგატის სტატუსი არ ჰქონდა, ანუ არაუფლებამოსილი პირი იყო. პარტიის შიდაგანაწესით, ყრილობას 360 კაცი უნდა დასწრებოდა და ოქმში სულ 260 კაცი ჰყავთ მითითებული. სინამდვილეში, ქდმ-დან სულ 15-20 კაცი იყო და მათ ეს პირადად ჩემთან აღიარეს. გარდა ამისა, დოკუმენტაცია ცესკო-სა და საჯარო რეესტრშიც დარღვევებით შეიტანეს.

— და ამ დარღვევებზე საარჩევნო კომისიამ და საჯარო რეესტრმა თვალი იმიტომ დახუჭა, რომ ბურჯანაძის გეგმები არ ჩაეშალათ?

— ამაზე ყურადღება რომ გაემახვილებინათ, გამოდიოდა, ბურჯანაძის გეგმებს ცესკო ჩაშლიდა. მიუხედავად ამ „თვალდახუჭვისა“, ბურჯანაძემ 10%-მე მეტი ვერ აიღო. ცესკო-ს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას მიმართ პრეტენზიები ბევრი იყო, თუმცა მისიც მესმის — ნომრის მინიჭებიდან დაწყებული, პარტიების რეგისტრაციით დამთავრებული, ყველაფერი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

— გამოდის, მთელი არჩევნები ფარსი იყო, რადგან ყველამ ყველაფერზე თვალი დახუჭა, მათ შორის თქვენც...

— სხვანაირად, ქართველი ხალხი ვერ გაგვიგებდა. ეს პრობლემა ყოველთვის იდგა და იდგება. რაღაცებს პოლიტიკური მნიშვნელი აქვს, რაც კანონზე მაღლაც დგას.

— კანონზე მაღლა ბურჯანაძე და ვერავინ დადგება!

— აბა, რატომ ვაცხადებთ მორატორიუმებს? პოლიტიკა, სინამდვილეში ადამიანის უფლებებსა და კანონზე მაღლაც დგას. მსოფლიოში ასეა.

— ასე ფიქრობს „გადაგდებული“ პარტაქტივიც?

— ნინო ბურჯანაძემ არჩევნებში მონაწილეობა ჩვენი პარტიიდან მიიღო. ის სიკეთეები, გამართული სტრუქტურები, კვალიფიციურის სტატუსი თუ საეთერო დრო მან უკვე მიიღო, ყველამ ერთად ვუფეშქაშეთ. ამის მერე საბრძოლველიც აღარაფერი უნდა იყოს — ყრილობას ჩავატარებთ და პარტიას დავიბრუნებთ, ნინო ბურჯანაძემ კი მადლობა უნდა გადაგვიხადოს, რომ გამოგვიყენა.

— გამოგიყენათ რის ფასად — რა მიიღო ქდმ-მ?

— არ ვიცი, რადგან მოლაპარაკებებში არ ჩამრთეს. საფუძვლიანი ეჭვი შეიძლება მქონდეს, რომ სულელი არავინაა და სანაცვლოდ ვიღაცამ რაღაც მიიღო. კანონმდებლობით, ორი პარტიის თავმჯდომარე ერთდროულად ვერ იქნები. ბურჯანაძე ქდმ-ს თავმჯდომარე ისე გახდა, რომ ამ პარტიას არც ახსენებს და ყველგან თავისი პარტიის სახელით ჩნდება. იურიდიულად სხვას ამბობს, ვერბალურად — სხვას. მას რცხვენია ქდმ-ს თავმჯდომარეობის. ერთი წელი ქდმ-ს თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვიყავი და ჩვენს წევრებთან ისეთი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, მათ ვერ ვუღალატებ. სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ოფისების თავმჯდომარეებმაც მითხრეს, ბრძოლას ვაპირებთო.

— სად არიან ქდმ-ს სხვა ლიდერები და მათი პოზიცია როგორია?

— ლევან ვეფხვაძე ხელს საარჩევნო დოკუმენტაციას ბოლომდე აწერდა. არ ვიცი, რა გარიგებაშია ბურჯანაძესთან. როცა თარგამაძემ განაცხადა პოლიტიკიდან მივდივარო, პარტია ორად გაიყო — ნაწილი ამბობდა, თავმჯდომარედ ვეფხვაძე ავირჩიოთო, ნაწილი — ახვლედიანს ემხრობოდა. ბოლოს კი თავმჯდომარე ბურჯანაძე გახდა და თანაც, კანონდარღვევით. არჩევნები დამთავრდა და პარტიის დაბრუნება გვინდა.

— ეგ პროცედურულად და სამართლებრივად როგორ უნდა გააკეთოთ?

— სამართლებრივი გზა ასეთია: უნდა ჩატარდეს ყრილობა და მანამდე 6 ივნისის ყრილობის დელეგიტიმაცია მოხდეს. ალბათ, ჯერ განაცხადი საჯარო რეესტრში უნდა შევიდეს და მერე სარჩელი სასამართლოში. საჯარო რეესტრს შეუძლია, საქმე სასამართლომდე არც მიიყვანოს, მაგრამ ალბათ, ამას არ იზამს, პოლიტიკური გადაწყვეტილება რატომ უნდა მივიღოო და საქმეს საქალაქო სასამართლოს გადასცემს. სასამართლოს დაველოდოთ — თუ ამ ოქმს არ გააუქმებენ, ესე იგი, ბურჯანაძე და „ოცნება“ გარიგებულები არიან. ჩვენ კოლექტიურ სარჩელს შევიტანთ, მერე ახალ ყრილობას ჩავატარებთ და ახალ თავმჯდომარესაც ავირჩევთ. ქდმ თავის სიკეთეებიანად აღდგება და მორალურადაც მართალი იქნება!

როგორც ყოველთვის, „ვერსია“ ამჯერადაც დაინტერესდა მეორე მხარის არგუმენტებით. დავუკავშირდით ნინო ბურჯანაძის პარტიის პრესმდივანს, ბაკურ ბაკურაძეს და მისი მეშვეობით, კომენტარი **გიორგი ახვლედიანმა** გააკეთა, რომელიც ცოტა ხნის წინ ქდმ-ს თავმჯდომარედ მოიაზრებოდა:

„ჯერ ერთი, ქდმ-ს 80% არის იქ, სადაც მოხდა ეს გაერთიანება. დღეს მათი დიდი ნაწილი საკრებულოში შევიდა. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვინც დიდი ხანია, ქდმ-ს წევრები აღარ არიან, მაგრამ მათ რა უნდათ, არ მესმის. არ მესმის ასევე, რა სურს გოჩა ჯოჯუას, რომელიც ჯერ კიდევ მაისში ამბობდა, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას ვტოვებ, რადგან ნინო ბურჯანაძესთან კონსულტაციები ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელიაო. მირჩევნია, კოალიცია სერგო ჯავახიძესთან, ბაჩუკი ქარდავასა და პაატა დავითაიასთან გაიმართოსო. ჩვენი პრინციპული უარის გამო კი ეს გაერთიანება არ შედგა და ნინო ბურჯანაძესთან კოალიცია ჩვენი პარტიის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. პარტიას მთავარი კომიტეტი ჰყავს, რომლის 100%-იანი შემადგენლობა პროცესში მონაწილეობდა. ეს განაწყენებული ადმიანები იყვნენ პარტიის წევრები, მაგრამ ვინც ამ პროცესს დიდი ხნის წინ გაემიჯნა, ახლა რას ცდილობს?! ყველაფერი ლეგიტმურად, კანონიერად ჩატარდა და დღეს ასეთია მოცემულობა — ნინო ბურჯანაძე პარტიის თავმჯდომარეა, ლევან ვეფხვაძეც აქ არის, საარჩევნო პროცესებში ჩართული იყო, უბრალოდ ახლა, ერთ თვეში გაემგზავრება გლაზგოში, სადაც უნივერსიტეტში ჩააბარა, 1 წელში აიღებს ენერგეტიკის მაგისტრის დიპლომს და, როცა დაბრუნდება, პოლიტიკურად ისევ გააქტიურდება. მაგდა ანიკაშვილი და ნიკა ლალიაშვილი კი პოლიტიკური ტაიმ აუტის რეჟიმში არიან“.

ვერსიანიუსი

ავღანეთიდან 23-ე ბატალიონის მორიგი ნაკადი დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის მორიგი ნაკადი 4 თვის განმავლობაში ბაზა „ლეზერნეკზე“ მსახურობდა.

23-ე ბატალიონი ქართველი სამხედროების ოთხწლიანი სამსახურის შემდეგ, ბოლო ქართული ქვედანაყოფია, რომელიც ISAF-ის მისიის ფარგლებში, ჰელმანდის პროვინციაში საბრძოლო დავალებებს საქართველოს დროშის ქვეშ ასრულებდა. ავღანეთში ქართველი სამშვიდობოები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ. ისინი კოალიციურ ძალებთან ერთად, 4 თვის განმავლობაში სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ.

ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი, სახმელეთო ძალების დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი მიხეილ სადუნიშვილი და II ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ზაზა ჩხაიძე დახვდნენ. მათ სამხედროებს საქართველოში მშვიდობით დაბრუნება და ISAF-ის მისიის წარმატებით განხორციელება მიულოცეს.

მეორე ეტაპზე სამშობლოში 23-ე ბატალიონის 150 სამხედრო მოსამსახურე ჩამოვიდა. ბატალიონმა ISAF-ის საერთაშორისო მისია უდანაკარგოდ შეასრულა. ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობა საქართველოში ეტაპობრივად დაბრუნდება

მორიგი ავიაკატასტროფა — დაღუპულია 125 ადამიანი

ავიაკომპანია Air Algerie-ის ინფორმაციით, თვითმფრინავთან, რომელიც რეისს ბურკინა-ფასოს დედაქალაქიდან ალჟირის მიმართულებით ასრულებდა, კავშირი აფრენიდან 50 წუთში გაწყდა და თვითმფრინავი რადარიდან გაქრა. მოგვიანებით ავიალაინერი DC-9-ის ნამსხვრევები მალიში აღმოაჩინეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, მგზავრთაგან არავინ გადარჩენილა. სულ დაღუპულია 125 ადამიანი, მათგან 119 მგზავრია, 6 კი ეკიპაჟის წევრი. ავიატასტროფის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. ალჟირის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თვითმფრინავი მალის აღმოსავლეთით, ალჟირის საზღვრიდან 500 კმ-ში ჩამოვარდა. უაგადან ალჟირის მიმართულებით რეისი კვირაში 4-ჯერ ხორციელდება, ფრენის ხანგრძლიობა 4 საათია.

„პირველი“

სოსო მანჯავიძე: „აზერბაიჯანი საქართველოს წინააღმდეგ მრავალმილიარდიან სარჩელს ამზადებს!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პარლამენტი, მთავრობა, მერია და ახლა უკვე საკრებულოს ყველა პოსტი „ქართულმა ოცნებამ“ დაიკავა. მინისტრთა კაბინეტის შვიდი კადრიც შეიცვალა და როგორც პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, ამით პრემიერმა ღარიბაშვილმა კონკრეტულად, პარტია „ოცნების“ გუნდი გააძლიერა. მოკლედ, ნაციონალების არ იყოს, ქვეყანაში ყველა თანამდებობა „ოცნებამ“ დაისაკუთრა, ამ დროს კი გვერდზე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები რჩება, როგორიც ეკოლოგიური კატასტროფაა დედაქალაქში, ან აზერბაიჯანის რამდენიმელიარდიანი სარჩელი საქართველოს წინააღმდეგ. ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ვერსიას“ თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი პატრიოტთა ალიანსიდან, სოსო მანჯავიძე ესაუბრება.

— „ოცნებამ“ ყველა პოსტი ისე დაიკავა, სამ ოპოზიციურ პარტიას პოზიცია არ გქონიათ. რატომ?

— კონსულტაციები არ ყოფილა. ხელისუფლებას ამის პოლიტიკური ნება არ ჰქონია. არ სურდათ უმართავი ადამიანები თანამდებობაზე, რადგან შესაძლოა, პრობლემები შექმნოდათ. პოზიცია გვქონდა, უბრალოდ, რამის თქმას აზრი აღარ ჰქონდა. მაშინ ბოიკოტის რეჟიმში უნდა გადავსულიყავით, რაც არაფერს მოგვცემდა. თავად „ოცნებაში“ ბევრ პარტიას სხვადასხვა აზრი აქვს და ველი, მათი პოზიციები როდის გაიყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საკრებულო დაჭაობდება. ჩემი ფუნქცია იქნება, დღის წესრიგში ისეთი საკითხები დავაყენო, რაც დეპუტატთა შორის აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს.

— საკრებულოს ოპოზიციაში ნაციონალებიც არიან, მათთან და დანარჩენ ოპოზიციასთან ითანამშრომლებთ?

— გააჩნია საკითხს. უამრავი კონკრეტული თემაა, რაზეც ერთიანობა და თანამშრომლობაა საჭირო. საზოგადოებამ ნელ-ნელა საჭირო და აქტუალური საკითხების გარჩევა უნდა ისწავლოს. ძირითადად, ისეთ თემებზე მსჯელობენ, რომელთა 90% მეორეხარისხოვანია. დესტრუქციული და ხმაურიანი ოპონირების უკან კი, როგორც წესი, დიდი გარიგებები იმალება ხოლმე.

— ჯერჯერობით, ალეკო ელისაშვილის გარდა, არავინ ხმაურობს...

— ელისაშვილმა, ნაციონალებმა და ბურჯანაძის პარტიამ პრემიების საკითხი დააყენეს. ვეთანხმებოდით, ოღონდ, ამის მოწინააღმდეგე „ოცნებაშიც“ არავინ ყოფილა. ხმაურიანი გარჩევის დროს კი, რეგლამენტზე არავინ ლაპარაკობდა. მხოლოდ მე წამოვწიე ეს თემა. საკრებულოს რეგლამენტის 67-ე მუხლში გაწერილია, ვის შეუძლია საკანონმდებლო ინიციატივის შემოტანა. ამ პუნქტის მიხედვით, საკითხის ინიცირების უფლება თავმჯდომარეს, მოადგილეებსა და დეპუტატებს აქვთ. ასევე, საინიციატივო ჯგუფს, რომელიც პეტიციის ორგანიზებას მოახდენს. იქვე ეწერა, რომ საკრებულოს წევრებმა დანართში უნდა ახსნან, რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება სხვა არსებულ მუხლებზე. საინიციატივო ჯგუფებს ეს არ მოეთხოვებათ. ეს სპეციალურად გაკეთდა, რომ ინიციატივის არმიღების მიზეზად, განმარტების არქონა დასახელებულიყო.

— ანუ მოქალაქეებისთვის საკრებულოს კარის დახურვა სურდათ?

— რა თქმა უნდა. ეს კონსტრუქციულად მივუთითე და მუხლი ჩასწორდა. ამავე პუნქტში ისიც ეწერა, რომ მოქალაქეები პეტიციას ისე ვერ შემოიტანენ, თუ 20 დღეში დაახლოებით 10 000 ხელმოწერას არ შეაგროვებენ და ნოტარულად არ დაამოწმებენ. ამის გაკეთება ფიზიკურად შეუძლებელია. ეს პუნქტიც შევაცვლევინე. თავად განსაჯეთ, ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რაც ყვირილის გარეშე გაკეთდა, თუ რასაც უშედეგოდ, ბევრი ხმაური მოჰყვა. ყვირილს აზრი უნდა ჰქონდეს. უსაგნო ყვირილი მხოლოდ გიჟებს ახასიათებთ. საყვირალი კი იმდენი იქნება, ენერგია უნდა შევინახო. თანაც, ჩვენი საკრებულო თბილისისთვის პარლამენტზე მნიშვნელოვანია.

კონკრეტულ საკითხებს სპეციალისტებთან ერთად დავაყენებ. ერთი მწვავე თემა ისაა, რომ თბილისი ნაგავში იხრჩობა. დედაქალაქის შემოგარენში 30 მლნ ტონა ნაგავია დაგროვილი, რაც ინფექციების წყარო და ეკოლოგიური ბომბია. თბილისი აბინძურებს რეგიონის უმნიშვნელოვანეს მდინარეს, მტკვარს.

— მგონი, პირველი ხართ, ვისაც საკრებულოში მტკვარი გაახსენდა.

— ცოტა ხანში, ამას აზერბაიჯანი გაახსენებს საქართველოს! ეს ქვეყანა ჩვენს წინააღმდეგ მრავალმილიარდიან სარჩელს ამზადებს. მთელი ქალაქის ფეკალიები პირდაპირ მტკვარში ჩადის და მინგეჩაურის წყალსაცავში ჩაედინება. ეს სარჩელია იმის შესახებ, რატომ ვაბინძურებთ მტკვარს და ამით, საქართველო არღვევს საერთაშორისო ნორმებს. მტკვარი საერთაშორისო მნიშვნელობის მდინარე და უზარმაზარი არტერიაა. ასევე, უმძიმესი მდგომარეობაა საკანალიზაციო სისტემაში. გამოსაკვლევია, რა გავლენას ახდენს მთაწმინდის ჩამონადენი წყალი მეტროს გვირაბებზე...

— მხარს ვინ დაგიჭერთ საკრებულოში, სადაც ამბობენ, რომ პრიორიტეტი მერის პროგრამის განხორციელებაა?

— მთავარია, მხარი საზოგადოებამ დამიჭიროს. სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც არ უნდა დავივიწყოთ — უსაფრთხოება, სამოქალაქო თავდაცვა... საქართველოში მძიმე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ვითარებაა. ბალანსი მყიფეა და დესტაბილიზაცია ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება.

— განაცხადეთ, ახალი კომპრომატები დაიდება და ვითარება აირევაო. რას გულისხმობდით?

— მმართველი ძალა სიმწიფის სტადიაში შევიდა. ვგულისხმობ, პარტია „ოცნების“ შემადგენლობასა და ძალოვან ბლოკს, რომელსაც იმაზე მეტი ძალა აქვს, ვიდრე დანარჩენ მინისტრთა კაბინეტს. საქართველოში გადამწყვეტი მნიშვნელობა შს სამინისტროს აქვს. ღარიბაშვილი ივანიშვილის პოლიტიკურ ვერტიკალს წარმოადგენს. სწორედ ეს გუნდი გაძლიერდა, პოლიტიკურ ვითარებაში უკეთ გაერკვევა და მოქმედება გადაწყვიტა. დღეს ისინი ნაციონალების ნეიტრალიზებასა და დანარჩენი ოპოზიციისთვის დეკორატიული ფუნქციის მინიჭებას ცდილობენ. ზოგადად, ღარიბაშვილს მიმართ ნდობა არსებობს, მაგრამ ყველაფერი წარმავალია. შესაძლოა, გაძლიერებულმა გუნდმა მის წინააღმდეგ სხვა ჯგუფების კონსოლიდაცია გამოიწვიოს. ღარიბაშვილს ეს გააზრებული აქვს და აქაც რთულ კომბინაციასთან გვაქვს საქმე. დარწმუნებული ვარ, მინისტრთა ახალი კაბინეტი თავისი ნდობით აღჭურვილი პირებით დააკომპლექტა. ხალხი პასიურია და მისი გააქტიურება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით შეუძლებელია. გადავედით ერთპარტიულ მმართველობაზე, რაც ამ კონკრეტული პარტიის წინააღმდეგ სხვა ჯგუფების კონსოლიდაციას გამოიწვევს.

— რომელ ჯგუფებზე საუბრობთ, ან თქვენ თუ აპირებთ რამეს?

— ეს გუნდები კოალიციის შიგნით არსებული სხვა პარტიებია. თუმცა ვითარებას დიდად ვერც მათი შიდადაპირისპირება შეცვლის, თუ პოლიტიკურ სცენაზე უფრო დიდი მოთამაშე არ გამოვიდა.

— და ვინ უნდა იყოს ასეთი?

— საქართველო სიურპრიზების ქვეყანაა. ინტუიცია მკარნახობს, ვიღაც ახალი გამოჩნდება. დღეს მოცემულობა ასეთია — ამ დაჭერებით „ოცნების“ რეიტინგი ნარჩუნდება. ეს კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. მასში გარდატეხა ვერც ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობამ შეიტანა. დიახ, დარწმუნებული ვარ, ეს მკვლელობა იყო. მოვლენათა ცვლილებების უფრო დიდი მოლოდინი მაშინ უნდა გვქონოდა, თუ კიწმარიშვილი ტელევიზიის შექმნას მოასწრებდა. ეს არ მოხდა. ვფიქრობ, კიწმარიშვილის საქმეც ისეთივე გაუხსნელი იქნება, როგორიც გამსახურდიას, საჯაიას, სანაიასა და ჟვანიას მკვლელობები.

ქართულ სოფლებს სახელებს უცვლიან, გალის რაიონს კი სპეციალურ სტატუსს ანიჭებენ

რა მიზნით იქმნება სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

აფხაზური მედიის ცნობით, გალის რაიონში საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო შეიქმნა. მისი მიზანია სამურზაყანოელი აფხაზების შთამომავლების სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, მათი ინტეგრაცია აფხაზურ სივრცეში და აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ეფექტური ჩართვა. ასევე ითქვა, რომ „ამ ხალხის უმრავლესობა გამეგრელებული აფხაზია და ისინი თავიანთ ფესვებს უნდა დაუბრუნდნენ“. საბჭო-ს თავმჯდომარედ თენგიზ ინალ-იფა აირჩიეს. მანამდე არც ისე დიდი ხნით ადრე კი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში გალის რაიონისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილება. ადგილობრივი წყაროს ინფორმაციით, **„აფხაზები აცნობიერებენ, რომ გალის რაიონი მათთვის ეკონომიკური თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობისაა. დღეს, ეს აფხაზეთის მასშტაბით შედარებით მჭიდროდ დასახლებული რაიონია და რუსეთიდან შემოტანილი საქონლის 70%-ს აქ იყიდება. ამ ფონზე, აფხაზები აქტიურად ალაპარაკდნენ რაიონისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე. ჯერ არ კონკრეტდება, როგორ მოხდება ეს. რაიონის აფხაზეთის შემადგენლობაში დატოვება იგულისხმება, თუმცა ერთგვარ ნეიტრალურ ზონად გამოცხადება“.**

მეორე კონფიდენციალური რესპონდენტი კი გვიამბობს: **„პასპორტების გაცემა შერჩევითობის პრინციპით ხდებოდა. პასპორტს არ აძლევდნენ მათ, ვისი გვარიც „შვილზე“, „ძეზე“ ან „იანზე“ მთავრდებოდა. იყო გვარების გადაკეთების შემთხვევები. მაგალითად, ეზუგბაია ეზუგბად, ყოლბაია ყოლბად, ქეძბაია ქეძბად ჩაწერეს დოკუმენტში. გადაკეთებული გვარების მქონე ადამიანების პასპორტებში, ეროვნების აღმნიშვნელ გრაფაში, წერდნენ „აფხაზს“. დღეს ეს პროცესიც შეწყვეტილია. პასპორტის აღება ძალიან ცოტა ადამიანმა შეძლო. ცოტა ხნის წინ, გალის რაიონში, რამდენიმე ქართულ სოფელს ქართული სახელი შეუცვალეს“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ყოფილი უშიშროების მინისტრი **ლევან კიკნაძე** აცხადებს, რომ „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო“ სეპარატისტების მორიგი პროექტია — ე.წ. ინტეგრაციით სურთ, ამ ხალხს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ათქმევინონ, რის შემდეგაც მათ აფხაზურ პასპორტებს მისცემენ. მისივე თქმით, გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო ვინმე თენგიზ ინალ-იფა ამ საზოგადოების თავმჯდომარე, რადგან მას ამ ორგანიზაციასთან საერთო არაფერი აქვს: **„პროცესი დიდი ხანია მიდის. ადგილობრივებს საქართველოს მოქალაქეობაზე, შესაბამისად ქართველობაზე უარს ათქმევინებენ. „იდეოლოგიური უზრუნველყოფაც“ ამოქმედებულია, ინგლისელი კავკასიოლოგი ჰიუიტი დიდი ხანია მეგრელების ქართველობას ეჭვქვეშ აყენებს. გალში გამომავალ სამენოვან გაზეთში „გალ“, მუდმივად ხდება ამის ტირაჟირება. რაც შეეხება გამეგრელებულ აფხაზებს. არის გვარები, რომელთა ფუძე-ძირი აფხაზური წარმოშობისაა. მაგალითად, ასეთია ბუთბაია (ბუთბა). ამ გვარის წინაპარმა გვარი გადაიკეთა და ქართველი გახდა, რასაც სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა: მუჰაჯირობის დროს აფხაზებს დევნიდნენ. გადარჩენის მიზნით, ბევრი გაქართველდა. ყოლბაიასაც ფუძე აფხაზური აქვს; ეს გამეგრელებული აფხაზი თავის წინაპარს როგორ უნდა დაუბრუნდეს? ალბათ, ისევ ბუთბა უნდა გახდეს. სურთ, ამ გზით გალელ ქართველთა ნაწილს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ათქმევინონ. ეს პროცესი მასობრივ ხასიათს მიიღებს თუ არა, ჩვენზეცაა დამოკიდებული. შეიძლება გაცვეთილი ფრაზა იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რამდენად განვითარებული და მიმზიდველი ქვეყანა გავხდებით და რამდენად დავიახლოებთ გალის მოსახლეობას. დარგის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ალბათ კარგია, ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვეს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ამოქმედება. თუ ზონებში ისეთ ეკონომიკურ საფუძვლებს შექმნი, რომ ადამიანებს შენსკენ წამოიყვან, ეს დადებით შედეგს მოიტანს. მთავარია, ამან დამახინჯებულ ფორმა არ მიიღოს“.**

ექსპერტები სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭოს შექმნას 24 აგვისტოსთვის დანიშნულ დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებსაც უკავშირებენ, მეორე ნაწილი კი ამაში ისევ გალის მოსახლეობის გააფხაზების მცდელობას ხედავს. რეალურად, გალის მოსახლეობას მძიმე პირობებს უქმნიან, რათა ეროვნულ იდენტობაზე უარი ათქმევინონ.

ნარკომაფია გარდაბანში

ვინ მფარველობს ნარკოდილერებს და რა პრობლემები შეიძლება შეექმნას საქართველოს დიდი რაოდენობით ნარკოტიკის დაკავების გამო

ეროსუდან შელია
557-100-768

„საქართველოს ტერიტორიაზე, შიდამოხმარებისთვის, აზერბაიჯანიდან გარდაბნის გავლით ნარკოტიკი შემოდის“, — ამ ინფორმაციას მამუკა არეშიძე ავრცელებს, კონკრეტული ფაქტებისა თუ ადამიანების დასახელება კი უჭირს — რომ მიჩივლონ, დამტკიცებას ვერ შევძლებო. რა ინფორმაციას ფლობენ გარდაბნელები რაიონში ნარკოტიკის შემოტანაზე და ვინ მფარველობს ნარკოდილერებს, „ვერსიასთან“ ექსპერტი მამუკა არეშიძე განმარტავს.

— სამწუხაროდ, ფაქტია, საქართველო ნარკოსატრანზიტო ქსელში ჩართულია და ამას საბაჟოზე დიდი რაოდენობით ნარკოტიკების აღმოჩენა მოწმობს. როგორც წესი, ასეთი ტვირთები ავღანეთიდან მოდის და ჩვენ ტერიტორიას უბრალოდ, გაივლის. შიდამოხმარებისთვის კი, ნარკოტიკი გარდაბნიდან და მარნეულიდან, ასევე ოკუპირებული ტერიტორიებიდან შემოედინება. აზერბაიჯანიდან ნარკოტიკის შემოსატანად გარდაბანი განსაკუთრებით ხელსაყრელია. გარდაბნის მოსახლეობას დეტალური ინფორმაცია აქვს, როგორ შემოდის ნარკოტიკით დატვირთული მსუბუქი თუ საბარგო ავტომობილები და კონკრეტულ ნარკოგამსაღებლებსაც ასახელებენ.

— გაშიფრეთ გარდაბანში ნარკოტიკების შემოტანის სქემა და ნარკოგამსაღებლებიც დაასახელეთ.

— კონკრეტული პირები რომ ჩამოვთვალო, მიჩივლებენ და ვერ შევძლებ დამტკიცებას, რომ მართლაც არიან ამ საქმეში. არ მინდა, მათი ვინაობა ჭორებზე დაყრდნობით გავამხილო, დამტკიცება რომ შემეძლოს, პირდაპირ სასამართლოში წავიდოდი.

— ადამიანების დასახელების გარეშე, გარდაბანში ნარკომაფიაზე საუბრობთ და ამტკიცებთ, მოსახლეობაც ინფორმირებულიაო. გამოდის, ნარკოდილერებს მფარველები ხელისუფლებაშიც ჰყავთ...

— როგორც წესი, კონკრეტულ ნარკოგამსაღებლებს მფარველები ჰყავთ. ნარკოტიკის მცირე რაოდენობით შემოტანაში, რაიონული მასშტაბის ჩინოვნიკები არიან ჩართულნი. მესმის, საქართველოს ხელისუფლებისთვის ამ მოჯადოებული წრის გარღვევა რთულია, თუმცა არც იმედი მაქვს, რომ რამე შეიცვლება — ადამიანები, რომლებიც გარდაბანში არსებულ ვითარებაზე პასუხი უნდა აგონ, დღემდე მაღალ თანამდებობებს იკავებენ. მათ შორის, უშიშროების თანამშრომლები.

— არც მათ ვინაობას დაასახელებთ?

— მაგალითად, სამილ ხეილოვი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე ჩემ წინააღმდეგ მუშაობდა და მხარდამჭერებსაც ზონდერებით აშინებდა. ვერ ვიტყვი, რომ გარდაბანში ნარკოტიკების შემოტანას მფარველობს, მაგრამ ზუსტად ვიცი, არჩევნები მისი მონაწილეობით გაყალბდა. ცინიზმია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მისი მონაწილეობით ჩატარდა. ასეთი ადამიანების გარეშე გარდაბანში ჩიტიც ვერ შეფრინდება. მრჩება შთაბეჭდილება, მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს, ხელს ამიტომაც ვერ კიდებენ. ჩანს, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს მისი ეშინიათ, რადგან მაშინდელი უშიშროების თანამშრომლები დღესაც მაღალ თანამდებობებზე არიან.

— თუ ხელისუფლება ნარკოპოლიტიკას ცვლის, რატომ ვერ გვარდება მცირე მასშტაბის ნარკოპრობლემა, თუნდაც გარდაბანში?

— რეგიონში, ძალოვნების უმრავლესობა სანდო არაა. შესაძლოა, ეს ადამიანები კონკრეტულად ნარკოტიკების საქმეში არ მონაწილეობენ, მაგრამ დანაშაულზე ხმას მაინც არ იღებენ, პრობლემას არ წყვეტენ. შესაძლოა, ხანდახან ნარკობარიგებს იჭერენ, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც გარეთაა. წინა ხელისუფლების დროს სხვა ვითარება იყო: ვანო მერაბიშვილის დროს ქალაქში ნარკობარიგები არ არსებობდნენ, მაგრამ შეიქმნა ელიტური წრე, რომელსაც სპეცოპერაციებისთვის იყენებდნენ, ვისთვის ჩაედოთ ნარკოტიკი ან ვისთან მიეგზავნათ... ამ ელიტურ ნაწილს ნარკოტიკების გავრცელების უფლებასაც აძლევდნენ. დღეს სისტემა ასე დალაგებული არ არის, ამიტომ პრობლემის გადაჭრა ჯერ კიდევ შესაძლებელია და ამას პოლიტიკური ნება, პროფესიონალიზმი, მუნდირის ღირსების დაცვა სჭირდება. ვერ ვიტყვი, რომ შსს ამას ხელს არ უშლის ან 90-იანი წლების მოვლენები მეორდება, როცა პანკისის ხეობაში ნარკოტიკი გასაყიდად პოლიციელებს შეჰქონდათ, თუმცა „წვრილი ვირთხები“ ჯერ კიდევ მუშაობენ. ერთ მნიშვნელოვან დეტალს მივაქციოთ ყურადღება: ბიძინა ივანიშვილი ნარკოტიკს ორგანულად ვერ იტანს. ეს იციან ნარკოდილერებმაც და ფრთხილად მუშაობენ. ის ნაწილი, ვინც ნარკოტიკის რეალიზაციის საქმეში დარჩა, ცდილობს, ინფორმაცია ზემდგომი ორგანოებისა და ივანიშვილის ყურამდე არ მივიდეს.

— ითქვა, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ნარკოტრაფიკს პირველი პირები მფარველობდნენ. ამის დადგენა დღემდე რატომ ვერ მოხერხდა?

— ეს ისეთი საქმეა, სადაც დანაშაულის კვალი უმეტეს შემთხვევაში არ რჩება. თუ მინისტრმა ან მისმა მოადგილემ ქვემდგომს დაავალა, მას ყოველთვის შეუძლია, ფაქტი უარყოს და ვერც დაუმტკიცებენ, რადგან წერილობით არ უბრძანებია. დღეს საქართველოში ნარკოპოლიტიკა შეცვლილია, წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრად მძიმე ფაქტებზე ვისაუბრებდი. ალექსანდრე ჭიკაიძემ მინისტრად დანიშვნისთანავე ნარკოტიკის კუსტარულად დამზადებისთვის საჭირო წამლების აფთიაქებში რეცეპტის გარეშე გაყიდვა აკრძალა, ადრე კი ამ მხრივ ვითარება არ კონტროლდებოდა, თუმცა ვერ ვიტყვი, ეს მხოლოდ ჭიკაიძის დამსახურებაა — აქ ხელისუფლების პოლიტიკური ნება ჩანს. სხვათა შორის, ამ ნაბიჯით საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ სერიოზული მტერი გაიჩინა — 400 მილიონ დოლარს ჰაერზე არავინ ისვრის. დაკავებული 3,5 ჰეროინი სწორედ ამ თანხის შესაბამისი იყო.

— ხელისუფლებას ნარკოდილერების შურისძიების რატომ უნდა ეშინოდეს?

— ყველამ იცის, მსოფლიო მასშტაბით ნარკოდილერები პოლიტიკურ დაჯგუფებებთან კავშირში არიან, ხელი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთანაც მიუწვდებათ. შეიძლება ეს სწრაფად არ მოხდეს, მაგრამ ეტაპობრივად თუნდაც ევროკავშირის წიაღში ან რომელიმე სხვა ორგანიზაციაში, საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტილება არ მიიღონ ან მაგალითად, მსოფლიო განვითარების ბანკმა, გარკვეული პროექტის დაფინანსებაზე თქვას უარი. მსგავსი პრობლემები მომავალში აუცილებლად შეიქმნება.

m² თამარაშვილის ქუჩაზე ახალ პროექტს იწყებს

დეველოპერული კომპანია m² მომხმარებელს არაერთ სიახლეს სთავაზობს. ამჯერად, ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა თამარაშვილის №6-ში დაიწყო. პარალელურად, კომპანია უახლოეს მომავალში თავის კლიენტებს ე.წ. ოპტიმალური ხაზის ბინებს შესთავაზებს, ოპტიმალურ ფასად. m²-ის მიერ განხორციელებულ კიდევ ერთ პროექტში ოროთახიანი, გარემონტებული ბინების ფასი 29 ათასი აშშ დოლარიდან დაიწყება. კომპანიამ არც მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებელი დაივიწყა, რომლებსაც პრემიუმკლასის ბინებით გაანებივრებს. დეველოპერული კომპანიის გეგმებსა და „m² თამარაშვილზე“ საცხოვრებელი კომპლექსის უპირატესობებზე, „ვერსიას“ m²-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი ბურდილაძე ესაუბრება.

რა უპირატესობა აქვს „m² თამარაშვიდზე“ საცხოვრებელ კომპლექსს

— ბატონო ირაკლი, რა მოცულობის ინვესტიცია ჩაიდო „m² თამარაშვილზე“ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობაში და ეს პროექტი, m²-ის სხვა პროექტებისგან რითაა განსხვავებული?

— სამშენებლო პროექტი „m² თამარაშვილზე“ დააფინანსა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და კანადის მთავრობამ. დაფინანსების საერთო მოცულობა 14 მილიონი აშშ დოლარია, საიდანაც 4 მილიონი აშშ დოლარი კანადის მთავრობამ გამოყო უშუალოდ ენერგოეფექტური მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობის მიზნით — „m² თამარაშვილზე“ 23%-მდე ენერგოეფექტური იქნება, რაც მობინადრეებს კომუნალური ხარჯის შემცირების შესაძლებლობას მისცემს. რაც შეეხება, სხვა პროექტებისგან განსხვავებას, დავიწყოთ იმით, რომ „m² თამარაშვილზე“ გამოირჩევა მოსახერხებელი მდებარეობით — კომპლექსთან მოხვედრა შესაძლებელია ვაკე-საბურთალოს გზიდანაც და ყაზბეგის გამზირიდანაც.

— „m² თამარაშვილზე“ რამდენბინიანი კომპლექსია და ბინები აქაც დასრულებული რემონტით ბარდება?

— როგორც ჩვენი სხვა პროექტების შემთხვევაში, „m² თამარაშვილზე“ საცხოვრებელ კომპლექსშიც, ბინები ჩაბარდება დასრულებული რემონტით. მობინადრეებს მხოლოდ ავეჯის შეტანა დასჭირდებათ. სხვათა შორის, მათ ბინებში იტალიური სამზარეულოც დახვდებათ, ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით... ბინის დაგეგმარებას მობინადრეებთან ერთად მოვახდენთ. მათი სურვილისამებრ შევარჩევთ ინტერიერის დიზაინს, სარემონტო მასალებს. „m² თამარაშვილზე“, 19 სართულზე განთავსებული 270-ბინიანი კომპლექსია. პირველი სართული მთლიანად ავტოსადგომს დაეთმობა. კომპლექსის არქიტექტურული ხიბლი ისაა, რომ თითოეულ ბინას აქვს მთლიან ფასადზე გახსნილი ვიტრაჟული კარ-ფანჯარა და აივნები.

— ეზოს გამწვანებაზეც იზრუნებთ, როგორც ეს მოხდა მაგალითად „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის შემთხვევაში?

— რა თქმა უნდა, თუმცა პროექტი უნიკალური სწორედ არსებული გამწვანებული გარემოს გამოა — მრავალწლიანი ნარგავები და მახლობლად მდებარე სკვერი. m² მობინადრეებს დამატებით კომფორტს სხვაგვარადაც შეუქმნის — m²-ის კომპლექსის მომსახურება უზრუნველყოფს 24-საათიან დაცვას, სადარბაზოებისა და ლიფტების დასუფთავებასა და გამწვანების მოვლას.

— მობინადრეები ბინებში შესვლას როდის შეძლებენ?

— „m² თამარაშვილზე“ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 2016 წლის სექტემბერში დასრულდება.

— საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს ე.წ. ოპტიმალური ფასის, 29 ათასდოლარიანი ბინები. რა ეტაპზეა ეს პროექტი?

— სასიამოვნოა, ამ ბინებმა ასეთი ინტერესი რომ გამოიწვია. ჩვენ ვაგროვებთ მსურველთა მონაცემებს და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. ჩვენი მიზანია, ბინის შეძენა შეძლოს სხვადასხვა შესაძლებლობისა და მოთხოვნების მქონე მომხმარებელმა. მალე დავამტკიცებთ პროექტს და მომხმარებელს შევთავაზებთ ყველასთვის ხელმისაწვდომ ბინებს ოპტიმალურ ფასად. 29 ათასი დოლარი ოროთახიანი, დაახლოებით 38 კვადრატულიანი ბინები ეღირება. თუ ვინმეს სურვილი აქვს, უფრო დიდ სახლში იცხოვროს, შეუძლია ორი, ან მეტი ბინა გააერთიანოს. ამ კომპლექსში, მხოლოდ პატარა ფართის ბინები არ იქნება, რაც ბუნებრივია განსხვავებული ფასიც ეღირება. აქაც, ბინებს, დასრულებული რემონტითა და სამზარეულოთი ჩავაბარებთ. პარალელურად, არ დავივიწყებთ მაღალი მსყიდველუნარიან მომხმარებლებს — მათ პრემიუმკლასის ბინებს შევთავაზებთ, პრემიუმკლასის რემონტით.

— m²-ის ახალაშენებულ ბინებზე მოთხოვნის გაზრდის მიზეზი ისაა, რომ ბინებს დასრულებული რემონტით აბარებთ თუ ის, რომ თქვენ პროექტებში ენერგოეფექტურობის კომპონენტიცაა გათვალისწინებული?

— პირველადი ბაზრის მიმართ ინტერესის გაზრდას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. როცა ადამიანი ამხელა ინვესტიციას აკეთებს, ურჩევნია, ახალი იყიდოს. ამასთან, ზოგადად, დეველოპერული კომპანიების მიმართ ნდობა გაიზარდა. კიდევ ერთი ფაქტორია, თქვენ მიერ დასახელებული მიზეზები. თავის დროზე, m²-მა გარისკა, როცა არაპრემიუმ კლასის ბინებშიც რემონტის გაკეთება გადაწყვიტა. სასიხარულოა, რომ ეს იმდენად დიდი კომფორტი აღმოჩნდა მომხმარებლისთვის, ჩვენ ბინებზე მოთხოვნა გაიზარდა. მოქმედებს ენერგოეფექტურობის კომპონენტიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, საქართველოს სტრატეგიული ინტერესია, ყველა შენობა, რაც კი შენდება, იყოს ენერგოეფექტური. ჩვენ ენერგომატარებელი კი არა, იმპორტიორი ქვეყანა ვართ. ამ ფონზე, შენობაში თუნდაც 20%-ით რომ შემცირდეს ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მოხმარება, დიდ ეფექტს მოგვცემს.

ნინო ლურსმანაშვილი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები

მსოფლიოს კანონმდებლობა დავების სასამართლო გზით გადაწყვეტის პარალელურად დავის გადაწყვეტის რამდენიმე ალტერნატიული ხერხს აღიარებს. საქართველოში დღემდე დავის ალტერნატიულად გადაწყვეტის სახეები იყო ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტა, სასამართლო მორიგება და კერძო არბიტრაჟი. ცოტა ხნის წინ კი ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახალი ინსტიტუტი – მედიაცია დაინერგა.

დავის გადაწყვეტის განსხვავებული წესი მოქმედებს ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში. პირს, თუ პრობლემა შეექმნება ადმინისტრაციულ ორგანოსთან, მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოსთვის მიმართვამდე, ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარით მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე სხვა სახის გადასახადი არ გადაიხდება.

მორიგება

სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავის განხილვისას მხარეებს გააჩნიათ უფლება, რომ საქმე დაასრულონ მორიგებით. მხარეთა შორის მორიგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას ან ამცირებს ან კიდევ სხვა მოთხოვნით ცვლის, რასაც ეთანხმება მოპასუხეც. მხარეთა შორის მორიგება ვერ მიიღწევა, თუ მოსარჩელე და მოპასუხეც დათმობაზე არ წავლენ ერთმანეთის მიმართ.

სასამართლოში საქმის მორიგებით დამთავრების ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც მოსარჩელე,ისე მოპასუხეც და თვით სასამართლოც.

სასამართლოში საქმის მორიგებით დამთავრებას მთელი რიგი უპირატესობა აქვს დავის არსებითად გადაწყვეტასთან შედარებით.

მორიგება დავის გადაწყვეტის ყველაზე უმტკივნეულო გზაა. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მხარეებს შორის შესაძლებელია წარმოიშვას დავა. ამ დავის მოგვარება მხარეებს შეუძლიათ მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება მხარეთა მორიგებაა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც სასამართლო განხილვამდე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისას მოსამართლე არკვევს, ხომ არ სურთ მხარეებს საქმის მორიგებით დამთავრება. სასამართლო ვალდებულია, ყველანაირად შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით, ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. მოსამართლეს ასევე შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. მორიგების სადავო საკითხის გადაწყვეტა ხდება გაცილებით უფრო სწრაფად და მარტივად, ვიდრე სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სასამართლო განხილვა გაცილებით მეტ პროცედურებს და დროს მოითხოვს. მხოლოდ პირველი ინსტაციის სასამართლოში საქმის განხილვისთვის კანონით გათვალისწინებულია 2 თვე, რთული კატეგორიის საქმეებზე კი - 5 თვე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხარეებმა შესაძლოა ისარგებლონ სამივე ინსტაციის სასამართლოში გასაჩივრების უფლებით, დავა შეიძლება გაგრძელდეს საკმაოდ დიდხანს.

ამ პროცედურებისგან განსხვავებით, მორიგებისას საჭიროა მხოლოდ მხარეთა დიალოგის გზით სადავო საკითხებზე შეთანხმება. მხარეთა შეთანხმება ფორმდება მორიგების აქტით, რომლის დაცვის გარანტი ხდება სასამართლო.

ამასთან, მორიგების შემდეგი უპირატესი თვისება დაკავშირებულია ხარჯებთან. გარდა სახელმწიფო ბაჟისა, მხარეს ასევე დაეკისრება პროცესის სხვა ხარჯების გადახდა, კერძოდ, საქმის განხილვასთან დაკავშირებული, ადვოკატის მომსახურების, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული, მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისთვის მისაცემი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული, ექსპერტიზის და სხვა ხარჯების. ამ ყველაფრის შემდგომ კი არსებობს იმის გარანტია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იქნება მხარისთვის სასურველი. დავის მორიგებით გადაწყვეტა კი გაცილებით ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეტაპზე მორიგდებიან მხარეები. თუ მორიგება მოხდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მაშინ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება, ხოლო თუ მორიგება მოხდება მთავარ სხდომამდე, მხარე მთლიანად თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

მორიგების მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ისიც, რომ მორიგების შემთხვევაში მხარეები დავის ძირითად პრობლემატურ საკითხებზე შეთანხმებით ჯერდებიან იმ პოზიციებზე, რომელიც ორივე მხარისთვის მაქსიმალურად მისაღებია, მაშინ როდესაც, სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლოა, არც ერთი მოდავე მხარე არ დარჩეს კმაყოფილი.

მხარეთა შორის მორიგების მიღწევის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც დეტალურად უნდა იქნეს მითითებული მორიგების პირობები. სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მსგავსად, ასეთი განჩინებაც ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მოპასუხე, მორიგების მიუხედავად, ნებაყოფლობით, მაინც არ განახორციელებს მოსარჩელის სასარგებლო მოქმედებას, მოსარჩელეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს განცხადებით მორიგების განჩინების აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, რომელიც შეუძლია წარადგინოს აღსრულების ორგანოში და სასამართლო აღმასრულებელი უზრუნველყოფს მოპასუხის იძულებას, გადაუხადოს მოსარჩელეს მორიგების განჩინებით განსაზღვრული ფულადი თანხა ან შეასრულოს მის სასარგებლოდ ის კონკრეტული მოქმედება, რაც მითითებულია ასეთ განჩინებაში.

ამდენად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს სასამართლოს მიერ მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების იძულებითი აღსრულების ისეთივე წესი, როგორიც მოქმედებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ.

მხარეთა შორის დავის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში საქმეზე მიღებული ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება უქმდება და საქმის წარმოება წყდება. საქმის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, არ შეიძლება.

სასამართლოს განჩინება საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

მხარეებმა მორიგების პირობებში შეიძლება გაითვალისწინონ სახელმწიფო ბაჟის, საერთოდ სასამართლო ხარჯების და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ერთმანეთს შორის განაწილების წესიც, რომელსაც ასევე წყვეტს სასამართლო, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

კერძო არბიტრაჟი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზაა კერძო არბიტრაჟიც. ეს არის ორგანო, რომლის შემადგენლობისა და საარბიტრაჟოს განხილვის წესის განსაზღვრა შეუძლიათ მხოლოდ მხარეებს. კერძო არბიტრაჟი იხილავს მხოლოდ სამოქალაქო დავებს იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხზე იქნება წერილობითი შეთანხმება მხარეებს შორის.

კერძო არბიტრაჟი შეიძლება იყოს მუდმივმოქმედი ორგანო ან დროებით შეიქმნას კონკრეტული დავის გადასაწყვეტად. მხარეებს თავად შეუძლიათ დანიშნონ არბიტრაჟის წევრები.

კერძო არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა ხასიათდება სისწრაფით. კერძოდ, საარბიტრაჟო განხილვა იწყება საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას გადაწყვეტილება მიიღება საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კერძო არბიტრაჟის მიერ დავის გადაწყვეტა მიმდინარეობს სასამართლო საქმის განხილვის მსგავსი პროცედურებით და მის გადაწყვეტილებას იგივე ძალა აქვს, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას. მისი ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება აღსრულდება იძულებით.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით, მხარეებს უფლება აქვთ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. ხოლო კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მედიაცია

მედიაცია კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე - მედიატორი, სასამართლოს გარეშე, მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია, სასამართლოსთან შედარებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს და უზრუნველყოფს ორივე მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას.

ეს პროცესი გაცილებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და, როგორც წესი, უფრო მდგრადი შედეგებითაც გამოირჩევა. მედიაციის პროცესში ჩართულები არიან მედიატორი, მხარეები ან მათი წარმომადგენლები. მედიატორი არის ნეიტრალური პიროვნება, რომელიც საქმეში არსებულ ორივე მხარეს ზუსტად აუხსნის საქმის ვითარებას და შეეცდება მხარეები მოარიგოს. იგი ეხმარება ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებაში, საერთო ენის გამონახვაში და შეთანხმებაში. მედიაცია ნებაყოფილობითია და მხარეს შეუძლია ნებისმიერ ეტაპზე დატოვოს მოლაპარაკება და საქმე განსახილველად სასამართლოს დაუბრუნდება, იქ დასწრება და განაჩენის აღსრულება კი უკვე სახელმწიფოებრივი იძულების წესით მოხდება. მედიაციის ინსტიტუტის მთავარი პრიორიტეტია მხარეების ჩართულობა თავიანთი საქმის მოგვარების პროცესში. მედიატორის დახმარებით მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. გავრცელებული თვალსაზრისით მედიაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრინციპია „ყველა გამარჯვებული“-ს შედეგის მიღება. ითვლება, რომ გამარჯვებული და დამარცხებული მედიაციის შემთვევაში არ არსებობს. მედიატორები ძირითადად საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებზე, ბიზნესთან, ოჯახურ და სამეზობლო დავებზე მუშაობენ.

მედიაციის დადებითი მხარეებია ის, რომ ეს არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის იაფი და სწრაფი საშუალება. ეს პროცესი მხარეებს შორის ურთიერთობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, ამასთან არის კონფიდენციალური, ორივე მხარე მოგებულია, დავის არსის შესახებ მხარეები იგებენ ობიექტურ აზრს. დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალების გამოყენება არა მხოლოდ მხარეებისათვის არის მომგებიანი, არამედ ზოგადად სახელმწიფოსთვისაც. მისი ფართოდ გამოყენება ხელს უწყობს სახელმწიფო რესურსების დაზოგვას, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების ხარისხზე აისახება.

სწორედ ეს დადებითი მხარეები გახდა გადამწყვეტი, რომ საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება - მედიაცია დანერგილიყო. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი მედიაციის უარყოფით მხარეებსაც ასახელებს. კერძოდ, იმას, რომ საქმის გადაწყვეტა არ არის გარანტირებული, გადაწყვეტილება არ არის საბოლოო ან იძულებით აღსასრულებელი, მეორე მხარე შეიძლება არ დათანხმდეს მედიაციაში მონაწილეობის მიღებას და ა.შ. მიუხედავად ამისა, მედიაცია დღეს მსოფლიოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად ითვლება. ეს ინსტიტუტი საქართველოში რამდენიმე თვის წინ ამოქმედდა.

წერილი ბაჩო ახალაიას

გიორგი იაშვილი

„ციხეში ხომ არავინ გაჩმორებს? ამბობენ, „სკიღეტას“ (ვანოს) არ ევასება და ეიაზვებაო, არ მოუთმინო მაგას არაფერი...“

როგორც დაგპირდით, გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილის შემდეგ ციხეში წერილს ბაჩო ახალაიას ვუგზავნი. ბაჩანა ჩაროზად შემოვიტოვე და კი მეუბნებიან, ძნელი „შესაჭმელი“ იქნებაო, თუმცა რაღა ძნელი — „შეჭმული“ ჰყავთ უკვე და ახლა საქმე ისაა, როდის გამოვა გარეთ და იმ სახეს მიიღებს, რაც უმრავლესობის აზრით, უკვე მიღებული აქვს. მოკლედ, ვიწყებთ!

გამარჯობა, ბაჩანა! ხალხის წყევლამ უწია ახალაიებსო, ასე ამბობენ და შენ ნუ ინერვიულებ — ხომ იცი, როცა გწყევლიან, თეა თუთბერიძის ძუძუები გლოცავენ, მაგრამ სულ მაგის იმედად ნუ იქნები, რამე უფრო ხილული აირჩიე დამცველად... იმასაც ამბობენ, ბაჩოს კობრას გამოხედვა ჰქონდაო. არ უნდა იყოს ეგ ცუდი, მაგრამ ის მაინტერესებს, კობრასავით ყალყზე რომ დგებოდი, სალამურს ვინ უკრავდა? სალამურის დაკვრაზე გამახსენდა და... იმას ამბობენ კიდევ, ბაჩო, გია ბარამია მაგან აცემინაო და სწორედ სალამური იყო შუაშიო. კი გეცოდინება შენ ეს ამბავი დეტალებში და მოდი, ნუ განვავრცობთ...

მამაშენი როლანდი, თურმე, ხევისბერი გოჩასავით დაქრის ზუგდიდში და ხანჯალს უმალავენ. ის კი მაინც გაჰყვირის, წყეულიმც იყავ ქვეყნისა და ხალხის მოღალატევ... და ხელებს იქნევს. ვის გულისხმობს ქვეყნისა და ხალხის მოღალატეში, მართლა ვერ გეტყვი იმიტომ, რომ შენ აქ ზიხარ, დათა საბერძნეთშია აღრიცხვაზე, ჩალიჩობს, საქართველოში არ ჩამოიყვანონ და გვერდში არ მოგისვან.

სამეგრელომ ამოისუნთქა უთქვენოდ. თურმე თენგიზ გუნავა ფრთამოტეხილი ქათამივით დადის, ზაზა გოროზია უხორთუმო სპილოსავით, მეგისა საერთოდ გადაიკარგა და ეჭვი მაქვს, ისიც დადის ქათამივით (ფრთამოტეხილი თუ გაპუტული, ვერ გეტყვი, მაგრამ ქათამივით) და შენ კი ზიხარ ფაშასავით მატროსოვზე, მოზომილი გაქვს შენი ადგილი და თან 24 საათი გაკვირდებიან. ისიც მითხრეს, ციხის მენიუში ვაშლიაო და თურმე არ ჭამ — გაუთლელი არ მიყვარსო და გასათლელად დანას აღარავინ განდობს. ისე, გაუთლელი ხალხსაც არ უყვარს, ბაჩო და ვინძლო ამიტომ მოგიძულეს შენ და შენი ძმა...

კიდევ თუ იცი, რა გამიკვირდა? შენი ოჯახის წევრები ამბობენ, კვირაში ოცამდე წიგნს ვუგზავნითო. ვანგარიშობ — დღეში თითქმის სამი წიგნი უნდა წაიკითხო და არ უნდა იყოს ეგ მარტივი საქმე. პრინციპში, შენ ხომ ყოველთვის სირთულე გიყვარდა და კვირაში ერთ წიგნს ფაცაცია და მკურნალიძეც კი წაიკითხავენ თუ იციან კითხვა საერთოდ.

ის თუ გახსოვს, ბაჩო, ორთაჭალის ციხეში რომ მიხვედი ამაყად, ბუნტის სცენა რომ დადგი და მერე ასევე ამაყად პატიმრები ჩახოცე... მერე უფრო ამაყად სააკაშვილთან მიხვედი და ყვარყვარეს ციხე წელში გავტეხეო, უთხარი. ყვარყვარემაც ქებით ცამდე აგიყვანა. ციდან ვარდნა უფრო მტკივნეული რომ იქნებოდა, კი უნდა გცოდნოდა, მაგრამ ციდან ადამიანები ჭიანჭველებივით ჩანდნენ და სრესდი... ხან ადამიანებს, ხანაც... ნუ განვავრცობთ, თორემ ისევ სალამურამდე მივალთ და გეწყინება, ვიცი...

არ გეგონოს, ვინმეს არ ახსოვდე. პირიქით, ყოველდღიურად მოკითხვას გითვლიან აქედან. იმ მოსამართლეს აგინებენ, გამამართლებელი განაჩენი რომ გამოგიტანა და კიდევ იმ პრეზიდენტს, შენ რომ შეგიწყალა. ისე, რა „დასტოინად“ მოიქეცი, შეწყალება რომ არ დაწერე პრეზიდენტის სახელზე და ეს შენი ოჯახის წევრებს გააკეთებინე? ერთი ეგაა, ეგ „დასტოინსტვა“ მაშინ დაიმსხვრეოდა შენთვის, როცა შეწყალების ფურცელს საკანში მოგიტანდნენ და აუცილებლად უნდა მოგეწერა ხელი, სხვაგვარად არაფერი გამოვიდოდა... მაგრამ ამას ხომ „ნაროდი“ ვერ დაინახავდა, ვერ მიხვდებოდა. შენც ხომ ეს გინდოდა?! ისეთ საქმეებს, რომელიც შენს „დასტოინსტვას“ ეხებოდა, ძირითადად ხომ ისე აკეთებდი, ხალხს ვერ გაეგო. ახლა არ მომედავო, რუსული სლენგებით რატომ საუბრობო. ახალმა მთავრობამ მიმაჩვია, ბაჩო... ინგლისური ენითა და ქართული ტიტრებით ფილმები აღარ გადის და მგონი, შენც მოგწონს ეს...

ისიც მითხრეს, ბაჩო ბალანდას იწუნებსო და მართალიც ხარ. ის არ სჯობდა, დამპალი კომბოსტოსა და კარტოფილისგან სალაფავს რომ უმზადებდით პატიმრებს და მაგ საქმეში შენთან ერთად მაშინდელი შენი დოსტი, ირაკლი ოქრუაშვილიც რომ გადიოდა? ახლა არ მითხრა, არაო. დეტალებში ვიცი ეგ ამბავი და ისედაც დამძიმებულ სულს აღარ დაგიმძიმებ. ხვდები ხომ, შენს მხარეს რომ ვარ და იმასაც მიხვდი, რომ შენი ნახვა ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ათას ადამიანს სურს. სწორედ ამიტომ ამბობენ, ბაჩანამ ციხეს შეაფარა თავი, ამდენ მნახველს ვერ აუვიდოდაო, მაგრამ ის „სროკიც“ გავა, ჯერ რომ არ მოუსჯიათ და მერეა საინტერესო, რას იზამ. შენი მუქარა წავიკითხე — ივანიშვილს ემუქრები, ასე და ისე გიზამო. არ გეწყინოს, არ მჯერა მაგის. ყვარყვარე თუთაბერივით, აღარც ის ჯარი გყავს, ქვიშასავით რომ გეხვია გარს და აღარც ზონდერჯგუფები. იმ ჯარზე გეუბნები, მთელი შემადგენლობა დაჩმორებას რომ უპირებდით და არაფერი რომ არ გამოგივიდათ. უფრო სწორედ, მიჯირყვნამ რომ მოგისწროთ და ბოლომდე ვერ დააჩმორეთ. ახლა ციხეში როგორ ხარ, ნეტავ? ხომ არავინ გაჩმორებს? ამბობენ, „სკილეტას“ (ვანოს) არ ევასება და ეიაზვებაო. არ მოუთმინო მაგას არაფერი, შენზე მეტი არაფრით არის და ნაკლები ცოდვა არც მაგას ექნება ჩადენილი.

ისე მოგიკითხავ, როგორც არსენა მარაბდელი ზაალ ბარათაშვილს და ისეთივე სიკეთეს გისურვებ, როგორიც გეკუთვნოდეს... მერე მომწერეთ პასუხი და თუ სურვილი გექნებათ, კიდევ გამოგიგზავნით წერილებს. თქვენ კი იკითხეთ, მეტი რა საქმე გაქვთ... ბალანდის ჭამის მეტი...

პატიმარი №0578

„კაზლიატნიკი“ და „საქათმე“ ზონაზე

როგორ მოატყუა „ქათამმა“ წარბამ კაი ბიჭები და როგორ გახდა მაყურებელი

ვინც სასჯელაღსრულების სისტემის შიდასამზარეულო იცის, ისიც ეცოდინება, რომ ზონებზე „კაზლიატნიკი“ და „საქათმე“ არსებობს. „კაზლიატნიკში“ „კაზიოლებად“ მონათლული პატიმრები სხედან, ისეთები, რომლებიც ბალანდას თუ ამანათებს დაატარებენ, უბრალოდ, შავ სამუშაოს ასრულებენ ან სხვა პატიმრებისთვის ლეიბებს კერავენ და ჩეჩავენ. არ გეგონოთ, ამას მუქთად აკეთებდნენ, სანაცვლოდ სიგარეტი ან ტელეფონის ბარათი უნდათ...

„ქათმები“ საერთოდ სხვა კასტაა — ცალკე ცხოვრობენ. მათი მთავარი სამუშაო დამლაგებლობაა. ალაგებენ ყველაფერს — ზონის გარეეზოს, აბანოსა და „პარაშას“ სისუფთავეც სწორედ „ქათმებზეა“ დამოკიდებული. რაც მთავარია, არ შეიძლება ქათამს ხელით შეეხო — უწმინდურია და თუ გაგაბრაზებს, ცოცხი, ქოში ან ბოთლი უნდა უთავაზო... „ქათამი“ სხვა პატიმრისგან რომ განასხვაო, ხელზე სპეციალური ლენტით მოძრაობს. ლენტი ტანსაცმლის გარედან, ხილულად აქვს. ლენტი „კაზიოლებსაც“ უკეთიათ, თუმცა ფეხზე — შარვალზე კოჭებთან აქვთ შემოტარებული. ყველაზე მთავარი ისაა, რომ „ქათამს“ არ აქვს უფლება, გარედანაც კი შეეხოს ქვაბს, რომელშიც ბალანდა მზადდება. ასეთ შემთხვევაში ზონაზე, შესაძლოა, ბუნტი დაიწყოს. დაწყებულა კიდეც, ამიტომ „ქათმებს“ მკაცრი ინსტრუქცია სასიკვდილო მუქარით უშუალოდ ზონის ხელმძღვანელობისაგან აქვს მიღებული. წესს ყველა იცავს, თუმცა გამონაკლისებიც არსებობს...

ბათუმის ციხეზე პატიმრების ახალი პარტია მიიყვანეს. მათ სტანდარტული პროცედურა გაიარეს: კარანტინი, დაშლა, საკანი. ციხე დახურული უნდა იყოს, მაგრამ პატიმრები გარკვეულ საფასურად (სიგარეტი, ყავა), ოფიცრებს საკნებს აღებინებდნენ და ერთმანეთის კამერებში მოძრაობდნენ. ახლადმოყვანილი პატიმრებიდან ერთ-ერთი, მეტსახელად „წარბა“ ყველაზე მეტად აქტიურობდა. მეორე დღესვე მან მაყურებლების კამერაში ამოჰყო თავი. გამოაცხადა, კაი ბიჭი ვარ და საერთოში ჩამახედეთო. მას ჯერ თავისი ამბები გამოკითხეს, კაი ბიჭობა ჩამოუთვალეს და როცა მიხვდნენ, „წარბა“ მართლა ბევრს იცნობდა და თან ქურდულს „ღეჭავდა“, საერთოს რვეულიც მიაწოდეს. „წარბამ“ მშვიდად ჩაიკითხა ყველაფერი, მერე კი ციფრების გადამოწმება გადაწყვიტა და სიგარეტები, ტელეფონის ბარათები და ჩაი მოიკითხა. ციფრები ერთმანეთს არ დაემთხვა. აშკარა იყო, მაყურებლები რაღაცას მაიმუნობდნენ და სიგარეტი, ჩაი თუ ტელეფონის ბარათი სადღაც გამქრალიყო. „წარბამ“ იფეთქა, ციხის ე.წ. ბლატატას დაუძახა, მაყურებლებს რვეული თავზე გადაახია და მაყურებლის ფუნქციები თავად იტვირთა.

არ გამოდგა წარბა ცუდი მაყურებელი. ციხემაც ამოისუნთქა, საერთოში შესატანი სიგარეტების რაოდენობამაც დაიკლო... ციხეში წარბას მზეს ფიცულობდნენ. ასეთი სამართლიანი მაყურებელი არ გვახსოვსო, ამბობდნენ, მაგრამ რამდენიმე თვეში წარბამაც „მოუჭირა“ და საერთოში შესატანი სიგარეტი, ჩაი და ტელეფონის ბარათი მძიმე ტვირთად დააწვა რიგით პატიმრებს.

„ახლა ასეა საჭირო, მარაგს შევქმნით და მერე საერთოდ მოვხსნით რამდენიმე თვით“, — აიმედებდა წარბა პატიმრებს. ისინიც ითმენდნენ, მაგრამ მოხსნით არაფერი მოხსნილა. ვერც „ბლატნოები“ უბედავდნენ რამეს, რადგან „წარბას“ მაყურებლობა კბილებით და ბრძოლით ჰქონდა მოპოვებული და ადვილად არაფერს დათმობდა...

* * *

რუსთავის ზონაზე ბექა ც. რუსთავის რეგიონს უყურებდა. შვიდი წელი ჰქონდა მისჯილი და მეხუთეს ამთავრებდა, როცა ერთ დღეს გამოუცხადეს, ბათუმის პროკურატურაში ვიღაც გიჩივის და ბათუმის ციხეზე უნდა გადაგიყვანოთო. შეწუხდა ბექა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. ელოდა, რომ იმ საქმეს ადრე თუ გვიან ამოუქექავდნენ. იმისთვისაც მზად იყო, სამ წელს დაუმატებდნენ. ამიტომ, იმავე ღამეს მაყურებლობა სხვას გადააბარა, თავად კი „ვარონკით“ ბათუმის გზას დაადგა. ორიოდე კვირა ბექა დაკითხვებზე ატარეს, მერე სასამართლოში. როცა მოიცალა, თანასაკნელებს სთხოვა, მაყურებლების ნახვა მინდა და როგორ მოვახერხოო. აუხსნეს, რომ ამისთვის ერთი ბლოკი „ვინსტონი“ იყო საჭირო. ბექამ სიგარეტი ერთ-ერთ ოფიცერს მისცა და საღამოს მაყურებლების სანახავად გაიყვანეს.

საკანში შესულმა პატიმარმა დანარჩენებს თვალი მოავლო, მიესალმა... მოულოდნელად მოტრიალდა და ოფიცერს სილა გააწნა — ეს სად მომიყვანე შე ნაბოზარო?! იღრიალა ბექამ და კამერიდან შურდულივით გავარდა. ოფიცერი ჯერ გაოგნდა, მერე უკან მიჰყვა და ბექამ ცემა-ტყეპა უკვე გარეთ გააგრძელა. გადარეული პატიმარი ჯერ კარცერში ჩაიყვანეს, შემდეგ კი ციხის უფროსის კაბინეტში.

ციხის უფროსი ექიმთან ერთად იჯდა. ექიმმა ბექას თვალებში შეხედა, შემდეგ ციხის უფროსს უთხრა, ამას გიჟობის არაფერი ეტყობა და არ დაუჯეროთო.

— ვინ არის გიჟი, თქვე მართლა გიჟებო? ვნახავ მე მაყურებლებს და ბუნტს თუ არა, „შუმოკს“ მაინც მოგიწყობთ, თქვე ბოზებო. ვინ დაგავალათ ჩემი გაფუჭება? ვინ? არ ჩაგივიდათ ხომ ფეხი? — ბობოქრობდა ბექა.

— მომისმინე, ან წესიერად ამიხსნი, რა გინდა, ან მაგრად გცემ, — მშვიდად უთხრა ციხის უფროსმა.

— რაღა რა მინდა. მაყურებლების კამერაში წაყვანა ვითხოვე და შენმა სირმა ოფიცერმა „საქათმეში“ წამიყვანა. გინდა მითხრა, ეს მისი იდეა იყო? გინდოდათ, „ქათმებთან“ ერთად ჩაი დამელია და ავტომატურად, მეც „ქათამი“ ვხდებოდი, მაგრამ ფეხი არ ჩაგივიდათ. ვიცანი ერთ-ერთი ქათამი, — ისევ აყვირდა ბექა.

ციხის უფროსმა კაბინეტში ოფიცერი გამოიძახა და მკაცრად ჰკითხა: სად წაიყვანე ეს კაცი შენ?

— მაყურებლების კამერაში, უფროსო.

— აბა, „საქათმეში“ მიმიყვანა და ერთი „ქათამი“ ვიცანიო? — გაბრაზდა ციხის უფროსი.

— არა, დედას გეფიცები, მაყურებლებთან მყავდა მეორე კამერაში.

— მეორე კამერაში იყავი? — ახლა ბექას მიუბრუნდა ციხის უფროსი და, როცა პატიმარმა თავი დაუქნია, „ნაჩალნიკს“ ცივმა ოფლმა დაასხა.

— წამო, შენ კამერაში მივიდეთ, — შესთავაზა ბექას და როცა იქამდე მივიდნენ, პატიმრებს ბექას გასაგონად ჰკითხა — მაყურებლების კამერა რომელია, აუხსენით ამ კაცს.

— მეორე, — უპასუხეს პატიმრებმა.

— ახლა შენ წამოხვალ და მეორე კამერაში „ქათამს“ მანახებ, — გაუღიმა ციხის უფროსმა და უკვე ბექას დაასხა ოფლმა.

მეორე კამერაში მისულმა ბექამ მშვიდად იკითხა, ზონის მაყურებელი რომელიაო და როცა „წარბაზე“ მიანიშნეს, გადაირია.

„ქათამი“ ზონის მაყურებლად ვინ დასვა, მე თქვენი ძალადკაი ბიჭი დედა ვატირე, — ბექას გინება მთელ ციხეს ესმოდა. „წარბა“ მშვიდად წამოდგა, თანასაკნელებს გადახედა და ციხის უფროსს უთხრა, წამიყვანე, თორემ მომკლავენ ეს სირები...

მეორე დღეს მთელმა ციხემ იცოდა, რომ რვა თვე მაყურებლად ქათამი ჰყავდათ. მის საკანში მსხდომმა, საშვილიშვილოდ შერცხვენილმა „ბლატატამ“ კი, კაი ბიჭობა დაასრულა. ბექას სამი წელი დაუმატეს და რუსთავში დაბრუნებულს, „წარბაც“ იქ დახვდა, ოღონდ უკვე შესაფერის ადგილზე — „საქათმეში“. მთელი დარჩენილი „სროკი“ ამაყობდა „წარბა“ თავის ნამოქმედარს და მერე რა, თუ ვინმე კაი ბიჭი ამის გამო დღეში რამდენჯერმე დედას შეაგინებდა ან შეაფურთხებდა. ის მაინც ერთადერთი იყო, ვინც კაი ბიჭები მოატყუა და ციხის მაყურებელი ერქვა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		6		3	2	1		
	3	2	1	9	8	4		
	9							
			9				4	
6	1						5	9
	5				1			
							7	
		4	3	6	9	8	1	
		1	8	5		3		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3				8		7	5	
	7			3				9
					5		2	
		9						3
			7	6	1			
8						6		
	6		8					
9				2			3	
	8	1		9				6

ᲠᲗᲣᲚᲘ

	9		3	1			6	
7				4		5		1
		1	8				2	
	5			3		1		
		3		9			4	
	7				8	2		
2		8		5				4
	6			2	3		7	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4		9	8				2
				5			9	8
			7					4
					6	2		
9		8				3		1
		7	3					
8					3			
7	1			4				
3				7	5		1	

ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ – ᲜᲐᲛᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲓᲔᲒᲣᲡᲢᲐᲢᲝᲠᲘ

ბრიტანელი დიზაინერი და „ნამცხვრის გამომცდელი“ საიმონ პოუპი აცხადებს, რომ ქვეყანაში საუკეთესო სამუშაო აქვს — მის მოვალეობაში წელიწადში დაახლოებით 7 ათასი ერთეული ტკბილეულის გასინჯვა შედის. პოუპს „ახალი პროდუქციის კონტროლიორის“ თანამდებობა უკავია, ამიტომ სამსახურში მუდმივად ფინჯან ჩაისა და ნამცხვარს მიირთმევს. ნამცხვრის დიზაინი და სტილი უნდა შევისწავლო, რაც მთელი მსოფლიოდან შემოდის, ასევე უნდა დავაგემოვნო კიდეც. ზოგჯერ არც მჯერა, რომ ხელფასს მხოლოდ ტკბილეულის ჭამაში მიხდიან, — აღიარებს პოუპი. ასეთმა სამუშაომ, წესით, უნდა გაასუქოს ადამიანი, მაგრამ ბრიტანელი დეგუსტატორი მაინც ახერხებს ფორმაში ყოფნას. დღის განმავლობაში 30 ბისკვიტს მაინც სინჯავს, მაგრამ, სომელიეს მსგავსად, ლუკმას მთლიანად არ ყლაპავს. პოუპი თავს ნამცხვრისა და პეჩენიის გურუდ მიიჩნევს და არც სამსახურის დაკარგვის შიში აქვს — ეკონომიკურმა კრიზისმა მის სფეროზე გავლენა არ იქონია.

სიცხეში ბიუსტჰალტერით გაგრილდებით

ამიერიდან ქალებს შეუძლიათ, დაივიწყონ მარაო ან ჯიბის ვენტილატორი და წლის ცხელ პერიოდს ღირსეულად შეხვდნენ. საცვლების მწარმოებელმა იაპონურმა კომპანიამ Triumph ბიუსტჰალტერი გამოუშვა, რომლის წყალობითაც სუსტი სქესის წარმომადგენლები ზაფხულის ხვატში თავს კომფორტულად იგრძნობენ. ამ სასწაული „ლიფის ჩაშკებში“ (რომელიც რატომღაც თევზების აკვარიუმივით გამოიყურება) ჟელეს საფენებია ჩადებული, რომელიც ინარჩუნებს სიცივეს, თუმცა ცხელ ამინდში გასეირნების წინ მათი „ჩაციებაა“ საჭირო. გარდა ამისა, ყოველი შემთხვევისთვის, ბიუსტჰალტერს, რომელსაც Super Cool Bra უწოდეს, მინიატურული მარაოც მოყვება, მანდილოსნებმა სიცხეში თავი ყოველმხრივ დაცულად რომ იგრძნონ. იაპონელმა მეწარმეებმა ასეთი საცვალი კონდიციონერისთვის საჭირო ელექტროენერგიის დაზოგვის აუცილებლობიდან გამომდინარე შექმნეს. ამომავალი მზის ქვეყანაში, ატომურ სადგურ „ფუკუსიმაზე“ მომხდარი კატასტროფის გამო, ელექტროენერგიის ეკონომიას დიდი ყურადღება ექცევა.

ველოსიპედის მართვა აუკრძალეს

გერმანელ სტუდენტს, კრისტოფერ ჰანას 15 წლით აუკრძალეს ველოსიპედით სიარული, არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში 24 წლის ახალგაზრდა პოლიციამ გააჩერა, როცა წვეულებიდან შინ ველოსიპედით ბრუნდებოდა. მის სისხლში ალკოჰოლის დიდი რაოდენობა აღმოაჩინეს და სტუდენტს ადგილზევე მოუწია 500-ევროიანი ჯარიმის გადახდა. წლეულს, მარტში კი, იგი სამედიცინო შემოწმებაზე გამოიძახეს, რომელიც მართვის უფლების ხელახლა მისაღებად იყო საჭირო. ეს პროცედურაც 500 ევრო ღირდა და კრისტოფერმა მას თავი აარიდა. განმეორებითი გამოძახების იგნორირების შემდეგ, მართვის უფლების გამცემმა სამმართველომ 15 წლით, ანუ 2029 წლამდე აუკრძალა ნებისმიერი ტრანსპორტის, მათ შორის ველოსიპედის საჭესთან ჯდომა. ყველა სატრანსპორტო საშუალებიდან სტუდენტს მხოლოდ ცხენის გამოყენება შეუძლია.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	5	4	3	2	9	7	8	1
3	2	1	7	5	8	6	4	9
7	9	8	1	4	6	3	2	5
9	1	3	8	7	2	5	6	4
8	4	5	9	6	3	2	1	7
2	7	6	5	1	4	9	3	8
5	8	9	6	3	1	4	7	2
1	3	2	4	9	7	8	5	6
4	6	7	2	8	5	1	9	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	1	7	6	8	5	4	2	9
5	2	9	1	7	4	3	8	6
8	6	4	9	3	2	7	5	1
7	9	8	4	2	3	1	6	5
6	5	3	8	1	9	2	4	7
1	4	2	5	6	7	8	9	3
2	8	1	7	9	6	5	3	4
4	3	6	2	5	1	9	7	8
9	7	5	3	4	8	6	1	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	6	2	7	5	9	4	3	8
9	8	4	3	6	2	1	7	5
3	7	5	4	1	8	6	9	2
6	2	1	5	9	7	8	4	3
4	9	3	8	2	6	7	5	1
7	5	8	1	4	3	2	6	9
5	4	6	2	3	1	9	8	7
8	1	9	6	7	5	3	2	4
2	3	7	9	8	4	5	1	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	8	2	1	7	9	6	4	3
6	7	4	5	8	3	2	1	9
3	1	9	4	2	6	8	7	5
4	9	3	2	5	1	7	6	8
7	2	6	3	4	8	9	5	1
1	5	8	9	6	7	4	3	2
2	6	7	8	1	5	3	9	4
9	4	5	7	3	2	1	8	6
8	3	1	6	9	4	5	2	7

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	5	2	1	6	3	8	9	7
8	7	6	4	2	9	1	5	3
3	9	1	8	7	5	6	4	2
1	8	5	3	4	7	2	6	9
2	6	7	9	8	1	5	3	4
9	4	3	6	5	2	7	1	8
7	1	9	5	3	8	4	2	6
6	3	8	2	1	4	9	7	5
5	2	4	7	9	6	3	8	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	7	9	4	1	6	3	5	2
6	3	2	9	8	5	1	4	7
1	5	4	7	3	2	9	8	6
2	6	3	1	5	7	8	9	4
5	4	8	6	2	9	7	3	1
9	1	7	3	4	8	2	6	5
4	9	1	5	7	3	6	2	8
7	8	6	2	9	4	5	1	3
3	2	5	8	6	1	4	7	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	5	8	3	9	2	4	1	7
2	1	4	8	7	6	3	5	9
3	9	7	4	1	5	2	8	6
7	3	6	2	5	9	1	4	8
8	4	5	1	6	3	9	7	2
1	2	9	7	8	4	6	3	5
9	7	3	6	4	8	5	2	1
5	8	2	9	3	1	7	6	4
4	6	1	5	2	7	8	9	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	8	4	5	7	2	6	1	9
7	2	6	1	9	4	5	8	3
5	1	9	8	6	3	7	4	2
2	7	3	6	4	5	1	9	8
8	9	5	3	2	1	4	7	6
6	4	1	9	8	7	3	2	5
4	6	7	2	5	9	8	3	1
1	5	2	4	3	8	9	6	7
9	3	8	7	1	6	2	5	4

მე-10 გვერდი: 1. ჰორაციო; 2. ოპტიკა; 3. ანიონი; 4. იგრიკა; 5. ტრიკონი; 6. რენესანსი; 7. კალიგულა; 8. ნეზვი; 9. სტაიერი; 10. იდიოტია; 11. ამულეტი; 12. იმაგო; 13. ანალიზი; 14. „იზა“; 15. ნაკრძალი; 16. ჰეროდოტე; 17. აკინაკი; 18. აზუა; 19. ჰინგისი; 20. კამელოტი; 21. „გროლში“; 22. მამიდა; 23. ომი; 24. კლანი; 25. გოლგოთა; 26. ტანკა; 27. კიმონო; 28. ტომ; 29. ტრემოლო; 30. ტორპედო; 31. ნიავი; 32. აიმაკი; 33. ტიკი; 34. ოხრა; 35. ოვერტაიმი; 36. ომალო; 37. ელიოტი; 38. იურა; 39. პრასი; 40. ველ; 41. რაი; 42. მამა; 43. ნიუ; 44. ალი; 45. ბო; 46. შუ; 47. სოლ; 48. რე; 49. ნავოი; 50. მოკრივე; 51. გიმერი; 52. ნო; 53. ედო; 54. უნია; 55. დუმა; 56. ვია; 57. ენია; 58. გო; 59. აღუ; 60. იულონი; 61. ურვადი.

მე-12 გვერდი: 1. აქლემი; 2. ქოლეცისტიტი; 3. ერქვანი; 4. უსტარი; 5. სეკატორი; 6. ავენტინი; 7. ფლოქვი; 8. იოანე; 9. ნჯამენა; 10. სკვერი; 11. ოდალისკი; 12. იშიასი; 13. ციანი; 14. ტოტია; 15. იონჯა; 16. ოდიში; 17. ანოფელესი; 18. კაილი; 19. ესაია; 20. „მაკაბი“; 21. აბაი; 22. გრანი; 23. იემენი; 24. კიტო; 25. ბორის პაიჭაძე; 26. ობი; 27. იოაკიმი; 28. ფონენდოსკოპი; 29. ლაფეტი; 30. ლინგაფონი; 31. მიგრაცია; 32. პროტონი; 33. სიროკო; 34. ლიფსიტა; 35. ლუი; 36. სნაიპერი; 37. ნერსე; 38. იკებანა; 39. სსრკ; 40. სკაპენი; 41. რტო; 42. სნო; 43. პიპა; 44. კუბა; 45. ფინია; 46. ნეცკე; 47. ალიანსი; 48. დანტესი; 49. რიბასი; 50. მადერა; 51. ტანკი; 52. თიანეთი; 53. კარიესი; 54. ანუი; 55. თოფი; 56. ძვალი; 57. ჭიჭყინა; 58. ფაეტონი; 59. უპე; 60. ძნა; 61. აპია; 62. ოძრხე; 63. ორმო; 64. ყური; 65. ინა; 66. დეკა; 67. ტისა; 68. დილა; 69. კრავაი; 70. აპი; 71. რალი; 72. ლოპე; 73. ნოტი; 74. პო; 75. კორეა; 76. რეა; 77. ორლი; 78. იაგო; 79. „ნოკია“; 80. წიბო; 81. ათი; 82. ათინათი.

1. თხევადი საპონი თმის დასაბანად
2. მუქი ფერის ლუდი
3. ვარსქენის მეუღლე
4. მდინარის დაკლაკნილი კალაპოტი
5. უნაგირის ნაწილი
6. დაუშლელი გამოთ. ამა თუ იმ ენაში
7. მოკრივეთა სავარჯიშო „მსხალი“
8. ნამდვილად არსებული ნივთი
9. „ტრაგედიის მამა“
10. ტბა ალასკაზე
11. თურქმენეთის დედაქალაქი
12. კეთილთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნი
13. ოქროს ლათინური სახელწოდება
14. ქალაქი რუს. უკიდ. ჩრდილოეთში
15. სისხლძარღვების სანათურის გაუვალობის შედეგად გაჩენილი ქსოვილის კვდომის კერა
16. ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი
17. რუსი ფერმწერი
18. „მობი დიკის“ ავტორი
19. დეკორატიული ყვავილი
20. შუააზიელთა ქეჩის კარავი
21. ფრანგი მსახიობი
22. ზნე, ხასიათი
23. ისტორიის მუზა
24. ქალაქი ხორვატიაში
25. ფერადი ზოლი სამხედროს შარვალზე
26. ბზის საზიდარი ურემი (საბა)
27. ინგლისის საფეხბურ. კლუბი
28. მოძრაობის კოორდ. დარღვევა
29. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მწვრთნელი
30. დიდი რუსი ბალერინა
31. საჩხვლეტი იარაღი ფარიკაობაში
32. ბატკნის მოგების დრო
33. მდინარე ვიეტნამში
34. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
35. სპორტული ორთაბრძოლა
36. ესპანეთის საფეხბურ. კლუბი
37. ინგლისის საინფორმაც. სააგენტო
38. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა
39. მალის დედაქალაქი
40. ყირგიზ. ეპოსი
41. ფერმწერი ... გოგენი
42. შექსპირის მეფე
43. ნოტიო ფქვილი
44. ცხენების ჯოგი
45. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
46. გლადიატორთა საბრძოლო მოედანი
47. რეგულარული შემოს. კაპიტალიდან
48. მრავალშრიანი ფანერა
49. კოლუმბიელი მწერალი
50. არაბული ფლეიტა
51. „ადიდასის“ მოქიშპე ფირმა
52. ფოტომოდელი ... სილვერსტოუნი
53. ამერიკული ბანქოს თამაში
54. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
55. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
56. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში
57. ნაბიჯი ბალეტში
58. კუს სახელი „ოქროს გასაღებში“
59. ბრუნეის დედაქალ. ...-სერი-ბეგავანი
60. ხელოვნური საერთაშ. ენა
61. ყვავილების დაწყობის იაპონური ხელოვნება
62. ჯოტია ცაავას სატრფო „რეკორდში“
63. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა

დაცემინება საშიშია

ეს შემთხვევა დაახლოებით ორი წლის წინ მოხდა, თუმცა, მის შესახებ მედიკოსებმა მხოლოდ ახლახან გაამხილეს. ინგლისის ქალაქ ჩიჩესტერის მცხოვრები ვიქტორია კენი ტელევიზორის წინ იჯდა და საყვარელ გადაცემას უყურებდა, როცა უცებ ცხვირში წვა იგრძნო, თავი ვეღარ შეიკავა და დააცემინა. ამის შემდეგ ქალმა წელში საშინელი ტკივილი იგრძნო, ქვედა კიდურები კი ვეღარ აამოძრავა. როგორც მოგვიანებით მედიკოსებმა დაადგინეს, დაცემინების შედეგად ვიქტორიას ზურგზე კუნთები ძლიერ შეიკუმშა, რამაც დიდი ზეწოლა მოახდინა მის ხერხემალზე, შედეგად კი ერთ-ერთი მალა გადაუადგილდა. ერთი წლის განმავლობაში, ვიდრე ქალბატონ კენს ოპერაციას გაუკეთებდნენ, მას მოძრაობა არ შეეძლო. თუმცა, გამოჯანმრთელების შემდეგ დაცემინების დღემდე ეშინია.

სახლს ბილბორდებისგან ააშენებენ

არქიტექტორთა ჯგუფმა სლოვაკეთიდან მოიფიქრა, როგორ გადააქციონ ბილბორდები მცირე საცხოვრებლად იმ ადამიანებისთვის, ვინც თავშესაფრის გარეშე დარჩენილი. ოროთახიანი „აპარტამენტები“ განთავსდება კუბებში, რომელსაც გარედან სარეკლამო პლაკატები ექნება აკრული, კუბში კი საკმაო სიმყუდროვე და ცხოვრებისთვის აუცილებელი ატრიბუტები იქნება: სამზარეულო, სამუშაო სივრცე, მოზრდილი საწოლი და მის ქვეშ სივრცე ნივთების შესანახად, ასევე აბაზანა. პროექტის ავტორი — არქიტექტურული კომპანია DesignDevelop იდეას ასე ხსნის: პროექტი საშუალებას იძლევა, ბილბორდების მშენებლობის ოპტიმიზაცია მოვახდინოთ. მსგავსი ობიექტი ხარჯის მინიმუმს ითხოვს და შეიძლება, ნაწილობრივ სარეკლამო ადგილის არენდის თანხიდან დაიფაროს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ალკოჰოლი გაქირავებით

ლატვიის ქალაქ ბაუსკში, იმის გამო, რომ ღამით ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობაზე შეზღუდვაა დაწესებული, სასმელის გაქირავება დაიწყეს. ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა განცხადება, რომ მსურველს შეეძლო, ღამის 10-დან დილის 8 საათამდე სპირტიანი სასმელი ექირავა. ახალ მომსახურებას ქალაქში მუსიკალური ფესტივალის მიმდინარეობისასაც არეკლამებდნენ. ქირავნობის პირობების მიხედვით, თუ დილის 8 საათამდე სასმელი არ იქნება გამოყენებული (ანუ დალეული), კლიენტს შეუძლია საწარმო Alcoclub-ს დაუბრუნოს და ფულიც უკან მიიღოს. მომსახურება ორი ევრო ღირს, ამას ემატება ასევე ალკოჰოლის ადგილზე მიტანის საფასურიც. როგორც აქაური სამართალდამცველები აცხადებენ, იციან ამის შესახებ და აკონტროლებენ ვითარებას.

სუდოკუ

ადვილი

						7		
			7	4			9	
2	1				6	3		
5			6					1
4			8		5			9
8					9			7
		9	1				7	5
	4			2	3			
		5						

სტანდარტი

7			5	6			8	
3			4				1	
1				9				
	8		6			2		
			7		5			
		4			9		3	
				3				7
	7				6			4
	6			1	7			5

რთული

1	2				3	8		
5		3			6	2		
7	6				5	1		
	3			2			8	
		1	6				3	7
		7	9			3		4
		2	4				9	1

ექსპერტი

			6	2	9		7	
		5			8			4
			7			2		
6			4			8	9	
	8	7			5			2
		8			6			
9			8			5		
	6		3	7	2			

ყველაზე სუფლელური „მშრალი კანონები"

თუ ზოგიერთი ქვეყნის დღეს არსებულ ანტიალკოჰოლურ კანონებს გავეცნობით, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ მათი დამწერები კანონშემოქმედების სა-პასუხისმგებლო მომენტში არცთუ ფხიზელ მდგომარეობაში იყვნენ, სხვა შემთხვევაში ლოგიკის ახსნა შეუძლებელია:

„პირველობის პალმა" აქ ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეში, მტკიცედ უკავია ამერიკას. მაგალითად, ალასკაზე კანონითაა აკრძალული სპირტიანი სასმელით ხარირემის „გამასპინძლება", ოჰაიოს შტატში კი აკრძალულია თევზების „გამოთრობა". შეერთებულ შტატებში ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მკაცრი კანონი მოქმედებს 21 წლამდე ახალგაზრდებზე ალკოჰოლის მოხმარების შესახებ, თუმცა არის გამონაკლისებიც — ვისკონსინის შტატში, თუ მეუღლეებს შორის ერთ-ერთს არ შესრულებია 21 წელი, დალევა შეუძლია, მაგრამ მხოლოდ მეორე ნახევრის ნებართვით. პენსილვანიაშიც ცოლიან მამაკაცს შეუძლია სასმელი მხოლოდ მეუღლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში მიირთვას.

მისურის შტატში თუ ცხოვრობთ და ჯერ 21 წელი არ შეგსრულებიათ, მაგრამ ნაგვის გადაყრა დამოუკიდებლად შეგიძლიათ, ფრთხილად იყავით, ნარჩენების ასორტიმენტში ლუდის ცარიელი ქილა არ აღმოჩნდეს. თუ ამ ფაქტზე გამოგიჭირეს, დაგაპატიმრებენ ალკოჰოლის უკანონო მოხმარებისთვის; ინდიანას შტატში, სპირტიანი სასმელის მაღაზიაში აკრძალულია ჩაციებული გაზიანი სასმელის გაყიდვა, თბილზე კი აკრძალვა რატომღაც არ ვრცელდება.

ვირჯინიის შტატი ერთ-ერთია იმ პურიტანულ ამერიკაში, სადაც კვირაობით ალკოჰოლის ყიდვა შეიძლება, სამაგიეროდ, მწვანე სალათის მოყვარულებს მოთმინებით მოუწევთ მოცდა ორშაბათამდე. ასე რომ, აჯობებს, აქ საყვარელი ბალახეული წინასწარ მოიმარაგოთ.

ამერიკელები, როგორ ცნობილია, ცოტას კითხულობენ, მაგრამ ზოგიერთ შტატში ეს პროცესი კანონმდებლობითაა შეზღუდული. მაგალითად, კალიფორნიაში, ბავშვებისთვის საკითხავი ლიტერატურის სიიდან ამოღებულია „წითელქუდა", მიზეზი კი ისაა, რომ ამ ფრანგული ზღაპრის ორიგინალურ ვერსიაში გოგონას ბებიასთან, ნამცხვართან ერთად, ერთი ბოთლი ღვინოც მიაქვს. კანზასის პროკურორმა კი გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც აშშ-ს საჰაერო სივრცეში მოძრავ თვითმფრინავებში ალკოჰოლის გაყიდვა იკრძალება; მიჩიგანში, სადაც აშშ-ში ყველაზე მკაცრი ალკოჰოლური კანონები მოქმედებს, ბარ-რესტორნებიდან დარჩენილი სასმელის შინ წაღება იკრძალება. თუ ჩანთაში ლუდის ქილას ან სხვა სასმელის ბოთლს აღმოგიჩენენ, კანონის დარღვევისთვის ციხეშიც შეიძლება აღმოჩნდეთ; ნევადის ბარ-რესტორნებში კი კლიენტებს ეკრძალებათ სასმელზე დღეში სამ ადამიანზე მეტის დაპატიჟება; ნებრასკას ბარებში ლუდს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგიტანენ, თუ სუპს შეუკვეთავთ, სტეიკი, კარტოფილი-ფრი ან ჰამბურგერი ამ შემთხვევაში „არ ჭრის"; ჩრდილოეთ დაკოტას ბარებში აკრძალულია ლუდთან მარილიანი პეჩენიის მიტანა, თუმცა, არაფერია ნათქვამი ჩიფსსა და მარილიან თხილზე, მასაჩუსეტსის ზოგიერთ ბარში კი ლუდით ხელში სიარულია აკრძალული. არატრადიციულ აკრძალვებში ტეხასმა გამოიჩინა თავი, ამ მთავარ კოვბოურ შტატში ფეხზე მდგომს ეკრძალება ლუდის ერთბაშად სამ ყლუპზე მეტის მიღება.

ამერიკის გარდა, საკმაოდ უჩვეულო კანონები მოქმედებს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, აფრიკულ განაში, 1994 წელს მიღებული კანონით, 18-ნლამდელ გოგონასთან ინტიმური კავშირის უფლება მხოლოდ იმ მამაკაცს აქვთ, ვისაც ჯიბეში არანაკლებ 50 დოლარი უდევს, ერთი ცხვარი და სამი ბოთლი ჯინი აქვს. ახალგაზრდა ქალის დაუფლების ასეთი ორიგინალური წესი საკმაოდ მარტივად აიხსნება: სწორედ ამ თანხით განისაზღვრება ჯარიმა, რომელიც მამაკაცმა უნდა გადაიხადოს, თუკი გოგონა დაფეხმძიმდება.

ბოლივიაში უკვე 100 წელზე მეტია მოქმედებს კანონი, რომელიც ქალებს ბარ-რესტორნებში ერთ ჭიქა ღვინოზე მეტის დალევას უკრძალავს — კანონმდებლებმა ჩათვალეს, რომ ამ დოზის გადაჭარბებისას „ქალი მორალურად და სექსუალურად დამყოლი" ხდება და კანონის დარღვევისთვის მხოლოდ ჯარიმა კი არაა დაწესებული, განქორწინების ოფიციალურ საფუძვლადაც მიიჩნევა.

ყავა კაცებს ინტელექტს აქვეითებს

ინგლისელმა ფსიქოლოგებმა, ფინჯანი ყავის დალევამდე და მის შემდეგ, ქალისა და მამაკაცის ქცევებს შორის განსხვავება დაამტკიცეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს გამამხნევებელი სასმელი საშუალებას აძლევდა, სტრესულ ვითარებაში ოპერატიულად და ეფექტურად ემოქმედათ, მამაკაცებს კი პირიქით, ყავა ხელს უშლიდა, ეფიქრათ ლოგიკურად, მიეღოთ სწრაფი და სწორი გადაწყვეტილებები.

სპეციალისტებმა ექსპერიმენტში 64 მოხალისე მიიწვიეს და 32 წყვილად დაყვეს. თითოეულს ოთხი ტესტი ელოდა, მანამდე 16 წყვილს ფინჯანი ყავა დაალევინეს, დანარჩენმა მოხალისეებმა კი უკოფეინო სასმელი მიიღეს. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ყავის გავლენით ქალებმა შეძლეს, დავალებას სხვებზე 100 წამით ადრე გამკლავებოდნენ. რაც შეეხება კაცებს, კოფეინმიღებულთა რეაქცია სხვებისას 20 წამით ჩამორჩებოდა, მეხსიერების ტესტში კი სრული ჩავარდნა ჰქონდათ. ამგვარად, სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ყავის დალევა ადუნებს მამაკაცის ინტელექტს, სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის კი სასარგებლოა: ყოველდღიურად 4 ფინჯანი გამამხნევებელი, „ღვთიური სითხე" საშვილოსნოს ყელის კიბოს ააცილებს, ვინც დღეში 2-3 ფინჯანს მიირთმევს, 15%-ით ნაკლებად უტევს დეპრესია, ვიდრე იმ ქალებს, ვინც იშვიათად სვამს ან საერთოდ არ ეკარება ყავას.

ყველაზე საშიში ფეხსაცმელი

რეზინის მსუბუქი ფეხსაცმელი, ე.წ. შლოპანცი მედიკოსებმა Topical BioMedics-დან ყველაზე საშიშად და მავნედ დაასახელეს. სპეციალისტების შეფასებით, ამ ტიპის ფეხსაცმელი ვერ აფიქსირებს ტერფის თაღს, რის გამოც კუნთი იჭიმება და ქუსლის მყესი იძაბება, შედეგად კი მუხლებში, მენჯსა და ზურგის არეში პრობლემებს ვიღებთ. როგორც წესი, „შლოპანცს" თხელი ძირი აქვს და ამის გამო ფეხი მჭიდროდ ებჯინება მიწას, ასეთი ძალით დაწოლა კი ძვლისა და სახსრებისთვის უსაფრთხო არ არის. იმის გამო, რომ რეზინის ფეხსაცმელი მეტისმეტად ღიაა, მის გასაჩერებლად ფეხისთვის ძალის დატანებაც საჭიროა, შედეგი კი წონასწორობის შესაძლო დაკარგვაა. „შლოპანცს" განსაკუთრებით უნდა მოერიდონ ის ადამიანები, ვინც ხშირად განიცდის დისკომფორტს ხერხემლის არეში. გარდა იმისა, რომ ღია ფეხსაცმელში ტერფი აბსოლუტურად დაუცველია და შეიძლება ნებისმიერ დროს დაიზიანოთ, რეზინის მასალაც გარკვეულ რისკს შეიცავს — სოკოსა და სხვა ბაქტერიების გასამრავლებლად ხელსაყრელ გარემოს ქმნის. ბუნებრივია, საშიშროება ემუქრება მხოლოდ მათ, ვინც ე.წ. ვიეტნამკებს, მთელი დღის განმავლობაში, ჩვეულებრივი ფეხსაცმლის ნაცვლად ატარებს. მხოლოდ პლაჟზე მათი გამოყენება კი საფრთხეს არ ქმნის. მთლიანობაში, საშიშროების თვალსაზრისით, „შლოპანცს" „ბალეტკაც" უტოლდება. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს მშობლებს, რადგან ბავშვის ჯერ კიდევ გაუმაგრებელი ძვალ-სახსროვანი სისტემა სუსტია ამ რისკებისადმი. სჯობს, ასეთი ფეხსაცმელი, თანაც უხარისხო, პატარას საერთოდ არ ჩააცვათ.

1. სახის მიმიკის მოშლა
2.ფილარმონიის წინ მდგარი ქანდაკების სახელი
3. განდიდების მანია
4.ლომის სიმბას სატრფო
5. კრიგში: გვერდული დარტმა შორი მანძილიდან
6.კულტურის ძეგლთა გამნადგურებელი
7.მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
8. ფასიანი ქაღალდი
9. ტრაგედიით ცნობილი კუნძული ნორვეგიაში
10.ძაღლის ვიში
11.ბილა იოვოვიჩის კინოროლი
12. წინასწარი განცხადება
13. რისამე საჯარო დემონსტრაცია განუწყვეტლივ
14. ამერიკელთა მეტსახელი
15.ფქვილის გაცრით მიღებული ნარჩენი
16.ცნობილი ბრიტანული კოლეჯი ბიჭებისათვის
17.საფრანგ. საფეხ.კლუბი
18.დეკორატ. ყვავილი
19.ძველ-ეგვიპტელთა წმინდა ხარი
20. გერმანელი ფიზიკოსი
21.ნაგვის ასაღები ნიჩაბი
22. ბიძია-ბაბუას სატრფო „მერეკილებში“
23. მეცნიერულად დაყენებული ცდა
24. დაავადებისგან ორგანიზმის თავდაცვის უნარი
25. „აგურის“ ფორმის ყველი
26.დიდი ესპანელი ფერმწერი
27. ინდური კობრა
28.ყველაზე პატარა თითი
29. მთა თბილისთან
30. თურქული მარგარინის მარკა
31. „ბითლზის“ ლიდერი
32.ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი
33.მხარე დასავლეთ საქართველოში
34.წყლის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში
35.ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
36.შერეული (ქალის და ვაჟის) წყვილი ჩოგბურთში
37. მკათათვის თანამედროვე სახელწოდება
38. სტალონეს შინაურული სახელი
39. უმაღლესი დიპლომატიური რანგი
40. ღვინის გამყიდველი
41. აზიის ყველაზე გრძელი მდინარე
42. მზის ამოსვლა, განთიადი
43.ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი
44. აქლემის „ატრიბუტი“
45. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
46. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
47. დიდი ვენახი
48.ჩინური ტაფა
49. საძირკველი
50. „ნირვანას“ ლიდერი ...კობეინი
51. თეატრის კოლექტივი
52. ველური ვარდი
53. მიზანში სასროლი დაწესებულება
54.ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
55. მეფის სასახ. ინტრიგან კარისკაცთა ჯგუფი
56. ერთი-ერთი მუშკეტერი
57. სხვადასხვა მხარეს მზირალი თვალები
58. შამფურზე წამოცმული შემწვარი ხორცი
59. მსხლის ჯიში
60. მოდუღებული პომიდვრის წვენი
61. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
62. მუდამ, ყოველთვის
63. იასპის მეორე სახელწოდება
64.საყანედ გაკაფული ტყე
65.კედლის ჭაღი
66. ყავის „ბიძაშვილი“
67.ცომის წვრილად დაჭრილი და მოხარ. ნაჭრები
68. სოფელი გორის რაიონში
69. უმაღლესი ხარისხის მინა
70. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
71. გერმანული პარფიუმერული და კოსმეტიკური ფირმა
72. შეურგებელი, უპატიოსნო
73. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
74. სიმძიმეთა ასაწევი მექანიზმი
75.რუსი პოეტი, დეკაბრისტი
76.ამერიკელი მომღერალი ... ფრანკლინი
77.თმის მცენარეული საღებავი
78. მოუხარშავი ან შეუწველი
79. მუსიკალური გამის III ნოტი
80. ბილიარდის წითელი ბურთი
81.კუნძულ კრეტას უმაღლესი მწვერვალი
82.იგივეა, რაც ათასწლეული
83. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
84. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
85. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
86. თხელი, საფლობი ტალახი

ქალი ბედნიერებისგან გარდაიცვალა

ბრიტანეთის მცხოვრებნი შოკში ჩაცვივდნენ მომხდარი ტრაგედიით, რომელიც ცოტა ხნის წინ დატრიალდა. 30 წლის ქალბატონი, სარა ბრედბერი ათი წლის განმავლობაში ცდილობდა, ბავშვი გაეჩინა. რვა წარუმატებელი ორსულობის შემდეგ, როგორც იქნა, დედა გახდა, მაგრამ საუბედუროდ, პატარას სიყვარულით ტკბობა არ ეღირსა. ბავშვი ნაადრევად გაჩნდა, თუმცა რთული მდგომარეობის მიუხედავად, მედიკოსებმა შეძლეს დედა-შვილის გადარჩენა. ამ ამბით გახარებული სარა ეკლესიაში წავიდა და უფალს მადლობა გადაუხადა, შვილი რომ აჩუქა. სამწუხაროდ, ბედნიერი დედა, მომეტებული ემოციებისგან, იქვე, ტაძარში გარდაიცვალა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.